№ 2834
ხუთშაბათი,
2 ივნისი

ცნობის ფურცელი

№ 2834
ხუთშაბათი,
2 ივნისი

გაზეთის ღირს: წელიწადში—6მ. „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის ღიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, ნაშუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 37.

პელაგია (იგივე ძაბუ) ჩიქოვანისა კნიაჟნა დგებუაძის ასული აუწყებს ნათესავთა, ნაცნობთ და მეგობართა, რომ შაბათს, ოთხს ივნისს, დაბა ახალსენაკში შხეფის მთავარ-ანგელოზის ეკკლესიაში დანიშნულია ორმოცი დღის გამოტირილი და წირვა-პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულის მეუღლისა თვისისა კოლლეჟსკი სეკრეტარის

ნიკოლოზ მანუჩარის ძის ჩიქოვანისა

და მასთან მადლობას სწირავს ყველა იმ პირთ, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა მისს მწუხარებაში. წირვა-დაიწყება დილის ათ საათზე, ხოლო პანაშვიდი თორმეტ საათზე. (1—ფ.—1)

შაბათს, 4 ივნისს 10 საათზე კუკიის სასაფლაოს წმ. ნინოს ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და ძეგლის კურთხევა განსვენებულის

ალექსანდრე ბენაშვილისა,

რასაც აუწყებთ მისს პატივისმცემელთ განსვენებულის დედა და და თამარა ბენაშვილისა და ძმები გიორგი, მიხეილ და ილია. (1—242—1)

ისაკ ზაალის ძე და სოფიო ესტატეს ასული ბედიანიძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გადაცვალებას პირველი დედის და მეორე—დედამთილის

სოფიო ანდრიას ასულის ბედიანიძისას.

გამოასვენებენ ფომინი მესხის ქუჩა № 10 საკ. სახლიდან, შაბათს 4 ივნისს, დილის 9 1/2 საათზე ანჩისხატის ეკკლესიაში და დაჰკრძალავენ პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. პანაშვიდები დანიშნულია 2 და 3 ივნისს საღამოს 7 1/2 საათზე. (2—243—1)

ივნისის 12 „ბელ ვიუს" ბაღში გაიმართება
ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

სეირნობა და ბაზარი

მაიღება შემოწირულება ბაზრობისთვის „საზოგადოების" კანცელარიაში (სასახლის ქუჩა თავად-აზნაურობის ქარვასლა)

სეზონის უკანასკნელი ტანისამოსი
მ ო ს დ ი ს ჟოველ-კვირა
ძმ. აკოფჯანოვების და სარქისიანცის
შეკერილ ტანისამოსის პირველ კავკასიის ამხანაგობის საფაბრიკო დეპოს.
ნიკოლოზის ხიდი, №№ 25—30.

ვ უ რ ჩ ე ვ თ

ადგილობრივ და სხვა ქალაქიდან ჩამოსულ მყიდველებს ჩვენის და სხვის სახელოსნოებში ინგლისურ და ფრანგულ ჟურნალებზე დამზადებულ უკანასკნელ ფასონის ტანისამოსს, მანდილოსნის ზედა ტანისამოსს, კაცის და ბავშვის ტანისამოსს და ყოველგვარ პალტოს, რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფაბრიკებში დამზადებულს. ფასი ხელ-საყრელია.

შ ე უ ვ ა ჭ რ ე ბ ლ ა დ. (0—40)

სავაჭრო სახლი
ა. ვ. ბაიდამაკინისა და ამხ.-ხა.

მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ჩვენ შევიძინეთ მთელი საქონელი ამიერ-კავკასიის საწყობებისა, რომელიც ეკუთვნოდა შემდეგ ქაღალდის ქარხნების ადმინისტრაციას: ქაღალდის ქარხანას გ. ი. პალლიზენს და კომპ., რჟევის ქაღალდის ქარხნის ამხანაგობას და კოშელევის ქარხნების სააქციონერო საზოგადოებას.

გარდა ამისა ჩვენი სავაჭრო სახლი წარმომადგენელია **ფინლიანდიის საუკეთესო ქარხნებისა**, რომელნიც ეკუთვნიან სააქციონერო საზოგადოებას **კიუმმენეს, კუზანკოსკისა და ვოიკისას**, სადაც მზადდება ყოველ წელს სხვა-და-სხვა ხარისხის ქაღალდები; ბოსტის, საწერი, სასტამბო, საალბომო და სხვა, ექვს მილიონ მანეთზე მეტად ღირებული. აგრეთვე რუსეთის ქარხნების—**სპოსოზინისა და კროტოვის** გორბატის ქაღალდის ქარხანათა ამხანაგობისა, სადაც მზადდება უმაღლესი ხარისხის ფოსტის, საწერი და სხვა ქაღალდი, და **ნ. ნ. ბრაკერის** ქარხნისა, სადაც მზადდება სახვევი ქაღალდები და პარკები.

ვურჩევ რა შეიძინონ ზემო აღნიშნულ ქარხნების ქაღალდი, ვსთხოვ პატივცემულ საზოგადოებას ყურადღება მიაქციოს ჩვენ სავაჭრო სახლს, კეთილ ინებოს და დაგვიკვეთოს საქონელი. თვითეულ დაკვეთას ავასრულებთ ბეჯითად და კეთილ-სინიდისიერად.

გოლოვინის პროსპექტი, მანთაშევის სახლი. (10—10)

ვაჭრობა ნახევარ ფასად

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
ისარგებლეთ იშვიათი შემთხვევით
დამზადებულ ტანსაცმელის დეპო
ი. ვ. ხუდავერდიანცისა
გოლოვინის პროსპექტზე, პირველ გიმნაზიის პირდაპირ.

აუწყებს ტფილისის საზოგადოებას, რომ ვაჭრობის შემცირების გამო, 27 მაისიდან მოკლე ვადით დანიშნულია **არა ჩვეულებრივ იაფი ვაჭრობა** ნახევარ-ფასად დეპოს ყველა საქონლისა კაცების, ქალების და ბავშვების ტანსაცმელისა, რუსეთისა და ინგლისის ქარხნების მაუდებისა. დეპოს საჭიროდ არ მიაჩნია რეკლამის საშუალებით აღნიშნოს ხსენებულ საქონლის იაფი ფასები და სთხოვს მუშტრებს პირადად დარწმუნდნენ. ყველა საქონელს გადაჰკრილი ფასი აწერია ფერადი კარანდაშით, ნარდათ მოვაჭრეთ შეღავათი ეძლევათ. იაფი ვაჭრობის დროს მაღაზია გაღებული იქნება დილის 8 საათიდან საღამოს 6 საათამდის.

(5—3) პატივისცემით დამზადებულ ტანსაცმელის დეპო ვ. ი. ხუდავერდიანცისა.

ვაჭრობა ნახევარ ფასად

ახალი ბუფეტი
„არარატი"
(ავჭალის ქუჩის დასაწყისში, სადაც ავჭალის ვაგონების გზა უხვევს, კუთხის სახლი, № 38, ს. არუთინოვისა).

სუფთად და კოხტად მოწყობილ ბუფეტში მზადდება ევროპიული და აზიური საჭმელები. სანოვაგე ახალი და საუცხოვო. სადილ-ვახშამი ყველასთვის ხელ მისაწვდენი. საუკეთესო კახური ღვინოები, ცოცხალი და სხვა. სადილი ღირს: ორი თავი საჭმელი, ერთი ჭიქა არაყი და ერთი ჭიქა ღვინო ან ლუდი—40 კაპ.; სამი თავი საჭმელი, 1/2 ბოთლი ღვინო ან ერთი ბოთლი ლუდი და ყავა—65 კაპ.

(თვ.—6.—15) პატივის ცემით ვანო.

ე ქ ი მ ი
გ. ა. გედალინი
მადათოვის ქუჩა, № 15, ალექსანდრეს ბაღის ეკკლესიის პირდაპირ.

ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილით 8-დან 9 საათამდე და საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (306. 20)

რ ე ს ტ ო რ ა ნ ი
„ფ უ ნ ი კ უ ლ ე რ ი".
1 ს.—5 ს. სადილი 4 ბლუდი 1 მ.
სადილი 2 ივნისისთვის
დანიშნული განსაკუთრებულ გამოცდილის მზარეული მ. მიშელის.
1. ბოზართმა ბატკნის.
2. ლობიო ქართულად.
3. გელაქნური ბატავული.
4. მაროჟნი მარწყვით
და 5. ყავა.

მოძრაობა ფუნიკულერის ვაგონებისა დილის 8 ს. ღამის 12 საათამდე.

5 სათიდან—10 საათამდე უკრავს ორკესტრი 8-კავკასიის მსროლელთა ბატალიონისა კაპელმეისტერ ფიდელმანის ზედამხედველობით.

(0—24) პატრონი ნ. ტ. ჩიკვაიძე

ე ქ ი მ ი
ნ. ტ. მ უ ლ ი ნ ი
ყელის, ცხვირის და ყურის ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე, დღისით 12—2 და საღამოს 6—8 საათამდე, სუდებნი ქ. № 26. (20—6.—5)

ქბილის ექიმი
ე. ი. ბალარჯიშვილი
მიიღებს ავადმყოფებს 10—3 საათამდე და 5—7 მიხეილის ქუჩა № 116. გერმახელთა ტაძრის ახლო. (80—278—30)

კვირას 5 ივნისს
დ. ყვირილის ამხანაგობის თეატრში

თეატრის ერთი წლის არსებობის გამო გამართული იქნება სადღესასწაულო წარმოდგენა. კ. ყიფიანის მიერ, წარმოდგენილი იქნება

დრონი მეფობენ

დრამა 5 მოქ. გულისაშვილისა.
(3—6—1) რეჟისორი კ. ყიფიანი.

ე ქ ი მ ი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე კვირისა და სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი სვანიშვილისა № 12.

კბილის ექიმი
ალ. ს ო ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2-მდე და 5—7-მდე. კვირაობით მხოლოდ 12 საათამდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივანისა. (30—17)

რუსეთ-იაპონიის ომი

დ ე პ ე შ ე ბ ი

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"
31 მაისი

ბუნჯულინი, 29 მაისი. არ მტკიცდება ოფიციალურად ცნობა, ვითომც ჩვენს მარცხენა ფრთაზე ბრძოლა მომხდარიყოს. ფიქრობენ, ჯერ კიდევ არ დაწყებულა ის მოქმედებები, რასაც დიდის ხნიდან ელოდებიანო. იაპონიის კავალერია ბეჯითად მოქმედებს მარჯვენა ფრონტზე.

ლონდონი, 31 მაისი. „მორნინგ პოსტის" წარმომადგენელი ემუსაიფა ბ. რაიტს, ინგლისის ცნობილ მხატვარს, რომელიც უკანასკნელ ხანებში იაპონიის ფლოტზე იყო, როგორც წარმომადგენელი არმსტრონგის გემების მაშენებელ კამპანიისა. რაიტი ინგლისში დაბრუნდა; ეს ერთად ერთი უცხოელი იყო, რომელსაც იაპონელებმა ნება მისცეს ესკადრაზე ყოფნისა, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ იყო სამხედრო პირი. რაიტის სიტყვით, იგი 7 თვის განმავლობაში ყოფილა ადმ. ტოგოს ესკადრაზე და ხშირად უნახავს ხოლმე ტოგო. თუმცა ტოგოს ადარებენ ბრიტანიის ადმ. ნელსონს, მაგრამ ტოგო გაცილებით წყნარის ხასიათის არის; ის თითქმის არასოდეს არ ღელავს. იაპონელების ფიქრით, იაპონია, დიდი ბრიტანეთი და შეერთებული შტატები შეიძლებენ უზრუნველ ჰყონ ზავი. იაპონელები მტკიცე ზავის მოსურნენი არიან. რაც ჩინეთს შეეხება, იაპონელები გარდაჰქმნიან ჩინეთის იმპერიას. ჩინეთის არმია ეხლა გაცილებით ძლიერია იმასთან შედარებით, რაც იყო იგი ამ ერთის წლის წინად. რუსები რომ მონგოლიაში გადვიდნენ, იქ შეხვდებიან გენ. მას, რომლის ჯარები უფრო ძლიერია, ვინემ რუსებს ჰგონიათ. ქვრივ დედოფლის სიკვდილის შემდეგ ჩინეთში დიდი ცვლილებები მოხდება. როცა ჩინეთი საკმაოდ ძლიერი შეიქნება, ის მოითხოვს, რომ ეეროპის სახელმწიფოებმა დაუბრუნონ მას მისთვის წართმეული მიწა-წყალი და იგინი იძულებული გახდებიან შეასრულონ ეს მოთხოვნები.—რაიტის აზრით, რუსეთს ერთად-ერთი-ღა დარჩენია, სახელდობრ, ეხლავე მიენდოს იაპონიის კეთილშობილებას და მასთან ზავი ჩამოაგდოს. რაიტი აღტაცებაში მოუყვანია ტყვე-რუსების მოვლას იაპონელების მიერ.

პეტერბურგი. ლინევიჩის დეპეშა 1905 წ. 30 მაისის თარიღით: „27 მაისს აღმოჩნდა მტრის წინა რაზმების გამოლაშქრება. ერთმა კოლონამ, რომელსაც შეადგენდა ქვეითი და ცხენოსნები, სამთო არტილერია და ტყვიის მტყორცნელები, გამოილაშქრა მანდარინის გზით, მეორემ-კი,—ქვეითებმა და არტილერიამ მანდარინის გზის აღმოსავლეთით და 28 მაისს დაიჭირა მდ. კაოხეს მარჯვენა ნაპირზე მაღლობები, სოფ. ლიაიშუიჩენისა და ხანდაოხეს ჩრდილოეთით. არმიის დანარჩენ ფრონტზე მხოლოდ ჩვეულებრივი სროლაა მოდარაჯე პოსტებს შორის.

ტოკიო, 29 მაისი. გუშინ იმ აზრისა იყვნენ, რომ პეკინში შეიკრიბებიან რწმუნებულნიო. საზოგადოებრივ აზრით, ვაშინგტონში გაიმართება მოლაპარაკება.—დღეს დილით მომავალ ზავის აღსანიშნავად, 10 ათასმა ბავშვმა, ბაირაღებით ხელში და ნაციონალურ ჰიმნების მღერით, ხიბიას პარკისკენ გაიარეს.—რუსეთ-ჩინეთის ბანკმა დიდ-ძალი ფული აღუთქვა სესხად ჩინეთს იმ ზიანის გასასწორებლად, რომელიც ომმა მიაყენა მანჯურიას. ეს წინადადება დაუყოვნებლივ უკუგდებულ იქნა.

ვაშინგტონი, 30 მაისი. პეტერბურგსა და ტოკიოს შორის უკვე მიწერ-მოწერა გაიმართა მოლაპარაკებისათვის ადგილისა და ვადის დანიშვნის შესახებ. ეს მიწერ-მოწერა კასინისა და იაპონიის ელჩის ტაკახირას შორის სწარმოებს რუზველტის შემწეობით, რადგან ხსენებულ დიპლომატებს შორის ჯერ დიპლომატიური ურთი-ერთობა აღდგენილი არაა. მას აქეთ, რაც პრეზიდენტისაგან წინადადება მიიღო კეთილ დახმარების შესახებ, რუსეთმა გულ-ახდით აღიარა, რომ შერიგება სწადიან, თუ ეს შესაძლებელი იქნებაო. არა ჰფიქრობენ, რომ საზავო პირობა ორმავე სახელმწიფომ დაუყოვნებლივ მიიღოს. რაც შეეხება ორსავე სახელმწიფოს რწმუნებულთა შეხვედრას ვაშინგტონში, ეს შეხვედრა გადადებულ იქნება იმ დრომდე, სანამ კასინი ვაშინგტონს არ მიატოვებს, რადგან კასინი დიდი მომხრეა რუსეთის მიერ სამხედრო მოქმედების გაგრძელებისა.

1 ივნისი.

ვაშინგტონი, 30 მაისი. საზავო მოლაპარაკება არა ბრკოლდება. კასინი ნახევარ საათს ეთათბირა რუზველტს და დაარწმუნა პრეზიდენტი, რომ რუსეთი თავის რწმუნებულს დაჰნიშნავსო.

ტოკიო, 31 მაისი. ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ შერიგებაზე მოლაპარაკება გაიმართაო.

ნიუ-იორკი, 31 მაისი. ოფიციალურ ცნობის თანახმად, მოლაპარაკება ვაშინგტონში გაიმართება. ლონდონი, პარიზი და ბერლინი შეუფერებლად მიაჩნიათ ამ საქმისთვის. ვაშინგტონი კი შესაფერისი ადგილია მოლაპარაკებისათვის. ვაშინგტონში ხმა დადის, სახელმწიფოები, იმათ შორის ინგლისიც, ნებას არ მისცემენ, რომ პორტ-არტური იაპონელებს მიეცესო. იაპონიის ელჩი აცხადებს, რომ იაპონია ერთ მილიარდ დოლარს (ორ მილიარდ მანეთს) კონტრიბუციას მოითხოვსო. ფიქრობენ, ათი დღის შემდეგ დროებით ზავს ჩამოაგდებენო.

ვაშინგტონი, 31 მაისი. რუსეთის რწმუნებულად ზავზე მოლაპარაკების დროს ნელიდოვი იქნება. ბარონი კანეკო არ იქნება იაპონიის წარმომადგენლად. დროებით შერიგებას ექვსის კვირის ვადით ჩამოაგდებენ. კონტრიბუციაზე ყველა სხვა საკითხის შემდეგ მოილაპარაკებენ. გავლენიანი წრეები აცხადებენ, თუ რუსეთი თავის დელეგატს ფართო უფლებას არ მისცემს, იაპონია უარს იტყვის და იმათთან მოლაპარაკებას არ დაიწყებსო.

ჰააგა. ფიქრობენ, რომ ჰააგა, როგორც საერთაშორისო სამედიატორო სასამართლოს ადგილი, ყველაზე შესაფერისი იქნებოდა საზავო მოლაპარაკებისთვის, მაგრამ მაინც არა სჯერათ, რომ წინდაწინ მოლაპარაკება აქ გაიმართოს. რადგან საზავო მოლაპარაკება რუზველტმა ითავა, უპირატესობა ვაშინგტონს მისჯეს.

პეტერბურგი. ოფიციალური. გარეშე საქმეთა მინისტრის ოფიციალური ცნობა: „შეერთებულ შტატების პრეზიდენტმა მიანდო თავის ელჩს პეტერბურგში მოითხოვოს კერძო აუდიენცია ხელმწიფესთან, რათა პირადად გადასცეს მის უდიდებულესობას შეერთებულ შტატების წრფელი მეგობრული გრძნობები რუსეთის მიმართ და რუზველტის სურვილი შეძლებისადაგვარად ხელი შეუწყოს, მთელი ქვეყნის სასარგებლოდ, შორეულ აღმოსავლეთში ომის მოსპობას. ელჩს მინდობილი აქვს აგრეთვე დასძინოს, რომ პრეზიდენტმა იმავე დროს ამგვარისავე წინადადებით მიმართა იაპონიის მთავრობას. ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და მიიღო 25 მაისს ფონ მეიერი და თანაგრძობით მიეგება ბ. რუზველტის თაოსნობას, რომელსაც რუსეთთან მეგობრულად განწყობილი სახელმწიფოებიც სრულის თანაგრძნობით მიეგებნენ. როცა პრეზიდენტი დარწმუნდა, რომ იაპონიაც თანახმაა მიიღოს იმისი წინადადება, ამერიკის დიპლომატიურ წარმომადგენელთა პირით გადასცა პეტერბურგში რუსეთის მთავრობას და ტოკიოში მიკადოსას ამ საგნის შესახებ ოფიციალური ცნობა, რომელიც შემდეგ ვაშინგტონს გამოქვეყნებულ იქნა. ამ ცნობის საპასუხოდ გარეშე საქმეთა მინისტრმა უმაღლესის ბრძანებით 30 მაისს ნოტა გაუგზავნა ამერიკის ელჩს იმის შესახებ, რომ ხელმწიფე იმპერატორი სავსებით თანაუგრძნობს პრეზიდენტის წადილს, რომელშიაც ხედავს ძველ დროიდან რუსეთისა და შეერთებულ შტატებს შორის არსებულ მეგობრულ გრძნობას. ის გარემოება, რომ ბ. რუზველტი დიდ მნიშვნელობას აძლევს ამ საგანს, სავსებით ეთანხმება ხელმწიფე იმპერატორის განზრახვას და საერთო მშვიდობიანობას, რომელიც ფრიად საჭიროა მთელის ქვეყნის კეთილდღეობისა და პროგრესისათვის. რაც შეეხება იმას, რომ რუსეთისა და იაპონიის რწმუნებულებმა ინახულონ ერთმანეთი და განსაჯონ, რამდენად შესაძლოა ორსავე სახელმწიფოსათვის ზავის პირობების შემუშავება, რუსეთის მთავრობა პრინციპიალურად წინააღმდეგი არ იქნება, თუ იაპონია თავის მხრივ სურვილს გამოაცხადებს.

ვარშავა, 31 მაისი. სმოჩის ქუჩაზე რამდენჯერმე ესროლეს პოსტზე მდგომ გოროდოვოის და ორის ტყვიით დასჭრეს იგი, მესამე ტყვიამ გამვლელი ვაჭარი დასჭრა. ბოროტ-განმზრახველნი მიიმალნენ.

ბაქო, 31 მაისი. გუშინ, დღისით, ნაბერეჟნი ქუჩაზე სომეხმა მიხეილ ბაღდასარიანმა, ეტლიდან ესროლა ტრამვაის ვაგონში მჯდომ თათრებსა და დასჭრა ერთი მათგანი. უმეტესს თავზარი დაეცა. თვალის დახამხამებაში დაჰკეტეს მაღაზიები და დუქნები და მხოლოდ პატივსაცემ თათრების ჩარევამ დააშოშმინა მღელვარებულნი. ბაღდასარიანი დაიჭირეს. ბრბოს თითონ უნდოდა ანგარიში ეგო მისთვის. მისი ამხანაგი მიიმალა.

კანეია, 29 მაისი. რუსის ჯარებს რეტიმნოს ოლქში ბრძანება მოუვიდათ იერიში მიიტანონ აჯანყებულებზე, თუ მახლობელ ადგილებში შეხვდნენ მათ.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"
31 მაისი.

ტოკიო, 30 მაისი (რეიტერი). ოფიციალურ ცნობით, 28 მაისს იაპონიის კავალერიამ რუსის კავალერია განდევნა ხსინცზის მიდამოებიდან, ლიაონვოპანგიდან 6 მილზე სამხრეთით. მეორე რაზმმა რუსები სიონჩენცზიდან განდევნა, კანპანგიდან 18 მილზე ჩრდილოეთით და სიმაღლე დაიჭირა სიაოკიტანის ჩრდილოეთით. კოიავაპინიდან 2 მილზე ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით.

ტოკიო. 30 მაისი („დეილი ტელეგრაფი"). მნიშვნელოვანი თათბირი მოხდა იმპერატორისა, მემკვიდრისა, პრინცებისა, იამაგატასა, იტოსა, კაცურასა, კამურასა, სამხედრო და საზღვაო მინისტრებისა, ორმოც უმაღლეს საზღვაო და სამხედრო აფიცრისა და უმაღლეს წრეების მრავალ წარმომადგენლის მონაწილეობით.

ნიუ-იორკი, 30 მაისი, („დეილი მეილი"). „ნიუ იორკ ჰერალდ"-ის ვაშინგტონელი კორესპონდენტი ირწმუნება, თუ ვინიცობაა იაპონია და რუსეთი ვერ შეთანხმდებიან და რწმუნებულთა შეხვედრისათვის ადგილს ვერ აირჩევენ, პრეზიდენტი რუზველტი დახმარებას გაუწევთ ამ საქმეშიო, ფიქრობენ, მოლაპარაკების ადგილს შეერთებულ შტატებში აირჩევენ, მაგრამ აუცილებლად საჭირო როდია, რომ მოლაპარაკება ვაშინგტონში გაიმართოს. იაპონია ნებას არ მისცემს თავის საპასუხო ნოტის გამოცხადებისას, სანამ რუსეთის ნოტას არ გამოაცხადებენ.

რომი, 30 მაისი. „ტრიბუნა" იუწყება: იტალიის მთავრობამ განსაკუთრებული ინსტრუქცია გაუგზავნა თავის დიპლომატიურ წარმომადგენლებს საზღვარ გარედ, რაც შეიძლება, მხარი დაუჭირეთ საზავო მოლაპარაკებას რუსეთსა და იაპონიას შორისაო.

ტოკიო, 31 მაისი (რეიტერი). ოფიციალურად იუწყებიან, რუსის რაზმებმა კვირას იერიში მიიტანეს გინდეჟენგისა, ნრიმიპუსა და ჩუფანტუს მიდამოებზე, მაგრამ იაპონელებმა ყველა იერიში მოიგერიეს, ზარალი გამორკვეული არაა.

შანხაი, 31 მაისი. ინგლისის ჯავშნიან გემების წაყვანამ შორეულ აღმოსავლეთის ზღვიდან ყველანი აალაპარაკა. ბევრი ფიქრობს, რომ ეს საქმე ცუსიმას ბრძოლას მოჰყვა შედეგად, რადგან რუსის ფლოტის განადგურების შემდეგ ინგლისისათვის საჭირო აღარაა ძლიერ ფლოტის ყოლა შორეულ აღმოსავლეთშიო. ზოგიერთი ფიქრობს, რომ გემების წაყვანა შედეგია გერმანიასთან ურთიერთობის გამწვავებისა მაროკოს საქმეზე. საზოგადოთ ეს ღონისძიება უკმაყოფილებას იწვევს ინგლისელებში; ეშინიანთ, ვაი თუ ინგლისის სახელი დაეცეს აღმოსავლეთშიო.

ვაშინგტონი, 31 მაისი. ამტკიცებენ, ჯერ-ჯერობით დანიშნული არაა ადგილი, სადაც რწმუნებულნი ერთმანეთს უნდა შეხვდნენო. ამისათვის არ ივარგებს არც ვაშინგტონი და არც მანჯურია. კასსინისთან მეორედ მოლაპარაკების შემდეგ რუზველტმა აცნობა რუსეთს იაპონიის აზრი რწმუნებულთა რიცხვისა და იმის შესახებ, თუ სად უნდა შეხვდნენ ისინი ერთმანეთს. ამტკიცებენ, რუსეთი იაპონიის მიერ არჩეულ ადგილის შესახებ თანხმობას გამოაცხადებსო. ფიქრობენ შესაძლებელია ჰააგა აირჩიონ, რადგან ჰოლანდიის ელჩს გუშინ თათბირი ჰქონდა კასსინისთანაო. ფიქრობენ,

პირველად კასინიმ პარიზი აირჩია, იაპონელებმა-კი ჩიფუო. ელიან, რომ იაპონიის რწმუნებულთა მეთაურად იტო იქნება, რუსებისა-კი ნელიდოვიო.

ტოკიო, 31 მაისი. ნიუ-იორკიდან იუწყებიან, რუზველტი ზავის ჩამოგდებას სცდილობსო.

ვაშინგტონი, 31 მაისი. მნიშვნელობას არ აძლევენ ინგლისურ გაზეთების ცილის წამებას, თითქო რუსეთს სურდეს დრო მოიგოს. „ბერლ. ტაგებლ.“ მიერ პეტერბურგიდან მიღებულ დეპეშებში დიდი ეჭვია გამოთქმული.

პეტერბურგი, 31 მაისი. ბოლო დროს სხვა და სხვა წყაროებიდან ამბები მოდის იმის შესახებ, თუ რა ადგილას უნდა შეხვდნენ ერთმანეთს იაპონიისა და რუსეთის რწმუნებულნი. ჩამოთვალეს—ვაშინგტონი, პარიზი, ჰააგა, ტოკიო და სხვა ადგილები. „პეტერბ. სააგ.“-ომ ნამდვილად შეიტყო, რომ ჯერ-ჯერობით ლაპარაკიც არ ყოფილა ადგილის შესახებ და ყველა ხმები უსაფუძვლოაო.

ლონდონი, 31 მაისი. „ლოიდი“ იუწყება სინგაპურიდან: დღეს რუსეთის კრეისერმა „დნეპრმა“ გააჩერა მალაკის სრუტეში ალმასის კონცხის ახლოს ჰოლანდიის გემი „ფლორეს“-ი და გადაიყვანა ამ გემზე 41 ჩინელი და ფოსტა ბრიტანიის გემ „სკილდ“-იდან. რომელიც წინად დაიჭირეს როგორც სამხედრო კონტრაბანდა და დალუპეს ჩინეთის ზღვაში. „სკილდ“-ის აფიცრები, ევროპიელები და ინჟინერები „დნეპრზე“ დასტოვეს.

ლოძი, 31 მაისი. გუშინ ლოძის ახლო სოფ. ლაგევნიკში ეკლესიასთან დემონსტრანტებმა რევოლვერით ჟანდარმი მოჰკლეს. დამნაშავენი არ აღმოუჩენიათ.

კიევი, 31 მაისი. ვაჭართა საზოგადოებამ დაადგინა, საქმე დღეებში ვაჭრობის ვადა შეამცირონ და უქმეებში კი სულ მოსპონ ვაჭრობა.

მინსკი, 31 მაისი. საბჭომ დაადგინა, იშუამდგომლოს, რათა დაუყოვნებლივ იქნას გატარებული ცხოვრებაში უმაღლესი ბრძანებანი საქალაქო მმართველობის უფლებების გაფართოებისა და ხალხის წარმომადგენელთა მოწვევის შესახებ.

მოსკოვი, 31 მაისი. გარდაიცვალა მწვალებლობის მცოდნე პროფესორი სუბოტინი. საბჭოს პროექტს ხალხის წარმომადგენლობის შესახებ მინისტრთა საბჭოს წარუდგენენ, 18 თებერვლის ბრძანების თანახმად.

პოლტავა, 31 მაისი. შინაგან საქმეთა მინისტრმა ნება არ მისცა, საგუბერნიო საერობო საგანგებო კრებაზე განეხილათ გამგეობის მოხსენება სახელმწიფოს საქმეების წარმატების შესახებ; ეს მოხსენება უნდა წარედგინათ მინისტრთა საბჭოში. კრებამ დაადგინა ხელ-მეორედ იჩივლოს მინისტრის მოქმედებაზე და აირჩია კომისია მოკლე რეზოლიუციის შესამუშავებლად მომენტის არსებით საჭიროებათა შესახებ. ეს რეზოლიუცია უნდა მოხსენდეს კრებას და შემდეგ გაიგზავნოს დანიშნულებისამებრ.

პეტერბურგი, 31 მაისი. ფინანსთა მინისტრის ამხანაგის ტიმირიაზევის თავმჯდომარეობით გაიხსნა რჩევა სავაჭრო-სამრეწველო მოსამსახურეების ნორმალურ დასვენების უზრუნველყოფის კანონ-პროექტის გასასინჯავად. რადგანაც სხდომაზე საჭიროდ დაინახეს მოეკითხებოდნენ შრომასა და კაპიტალის წარმომადგენლებთ, ამიტომ გადაწყდა კერძო რჩევის გამართვა. შემდეგი სხდომა 1 ივნისს იქნება. კერძო რჩევის დროს 26 წარმომადგენელმა წინადადება შეიტანეს მონაწილეობაზე უარის თქმის შესახებ. კენჭის ყრის შემდეგ აღმოჩნდა მეტი 32 ხმა მონაწილეობის მომხრე. ვინც წინააღმდეგი ხმა მისცა, მან უარი სთქვა მონაწილეობის მიღებაზე.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ხმები ზავზე. „ტან“-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი დეპეშით იუწყება 25 მაისის თარიღით: ყველა რუსის მინისტრს ამ ჟამად აუცილებლად მიაჩნია ზავის ჩამოგდება იაპონიასთან და მინისტრების მეცადინეობა მალე გამარჯვებით დასრულდებაო. („რ.“).

ცუსიმას ბრძოლის მნიშვნელობა. სამხედრო მიმომხილველები ამბობენ, რომ ცუსიმას ბრძოლას მეტად დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს. „მემორიალ დიპლომატიკ“-ი სწერს: „ცუსიმას ბრძოლის შემდეგ ახალი ხანა დაიწყო ისტორიაში. ოცდაათ საუკუნის განმავლობაში, მას აქეთ, რაც ბერძნებმა ფინიკიელთა კოლონიებზე დაცემა დაიწყეს, ევროპა ძალადობისა და ტაციობის პოლიტიკას მისდევდა, მთელს კაცობრიობაზე გაბატონდა და მსოფლიო პოლიტიკის ხელმძღვანელი გახდა, მაგრამ ცუსიმას ბრძოლის შემდეგ ახალი ძალა გაჩნდა, ამას იქით იაპონია დიდ როლს ითამაშებს და ევროპაზე დიდ გავლენას იქონიებს. ევროპის ძალადობასა და მთელს ქვეყნიერობაზე ბატონობას აღსასრული დაუდგა და ტაციობასა და ძალმომრეობას ბოლო მოეღოო“. („ბ. ვ.“).

პოლკოვნიკი გედკე სწერს: ადმ. ტოგოს გამარჯვებამ ცუსიმასთან აბუკირი და ტრაფალგარი დაჩრდილა (აბუკირთან და ტრაფალგართან განთქმულმა ინგლისელმა ადმ. ნელსონმა საფრანგეთის ფლოტი დაამარცხა). ახალი, დიდებული საზღვაო სახელმწიფო გაჩნდა. ევროპის სახელმწიფოების ბატონობას საზღვარი დაუდეს იაპონელებმა. ევროპიელებს შეძენილ კოლონიების შენარჩუნებაც ძლიერ გაუჭირდებათ. იაპონიის ფლოტის გამარჯვება სულ ახალ პოლიტიკურ ურთიერთობას შექმნის. ხანგრძლივ ძილის შემდეგ ყვითელი რასა (იაპონელები, ჩინელები) სცენაზე გამოდის და თეთრ რასასთან თანასწორ როლს ითამაშებს. მომავალ ომებში მხოლოდ ის ერები გაიტანენ თავისას, ვისაც ძლიერი ფლოტი ჰყავთ“.

იაპონელ მეზღვაურ აფიცრის სიკვდილი. ცუსიმასთან იაპონიის ჯავშნიანი გემი „ასახი“ „ბოროდინო“-ს ებრძოდა და ჩაძირა კიდევაც. როცა „ბოროდინო“ იძირებოდა, რუსები სროლას განაგრძობდნენ და უკანასკნელი ყუმბარა „ასახი“-ს ბოლოს მოჰხვდა, შვიდი მატროსი მოჰკლა და სასიკვდილოდ დასჭრა ლეიტენანტი მორიშიტა: ცალი ფეხი მოსწყვიტა. ფეხ-მოწყვეტილი აფიცერი შპაგას დაეყრდნო, როგორც ჯოხს, პალუბაზე ავიდა, ქაღალდი მოითხოვა, და დიდის წვალებით დასწერა: „ბანზაი! სახელოვნად ვკვდებიო“ და უსულოდ დაეცა. („ნ.“).

ახალი ნაღმები. უცხოელი კორესპონდენტები იუწყებიან ტოკიოდან: იაპონელებმა ცუსიმასთან ბრძოლაში ახლად გამოგონილი ტორპედები (სასროლი ნაღმები) მოიხმარესო. ეს ტორპედები იაპონელის გამოგონილია და ბევრის მხრით სჯობია იმ ტორპედებს, რომლებსაც პორტ-არტურის ფლოტის წინააღმდეგ ხმარობდნენო. (რ.).

გაცრუებული იმედი. „ნაშა ჟიზნ“-ი იუწყება: შაბათს, 14 მაისს, რუსის ფლოტის გახადგურების დღეს, ნევის პროსპექტზე, დილის 10 საათზე, გამვლელთ ქარავანი ჰხვდებოდათ: ზედ რაღაცა მაშინები ედვა ბრეზენტებ გადაფარებული. ბრეზენტებზე ეწერა: „ვლადივასტოკი. ადმ. როჟესტვენსკის ესკადრას“.

ასრულებული იმედი. როცა ადმ. ტოგო წარსულ 26 იანვარს, ომის წლის თავზე ზღვაში გავიდა და თავისი ბაირაღი „მიკაზა“-ზე გაშალა, იაპონელებმა სთქვეს: ადმ. ტოგო ეხლა დაიმალება და სანამ ქვეყნიერობას რაიმე საოცარ საქმით არ გააკვირვებს, არ გამოჩნდებაო, მანამდე იმის ამბავს ველარ გავიგებთო. მთელი თვეები გავიდა, რომ იაპონელებმა არ იცოდნენ სად იმყოფებოდა ადმირალი ტოგო, მაგრამ არც არავინ კი კითხულობდა ამას; ყოველი იაპონელი დარწმუნებული იყო, რომ ტოგო თავის ფლოტით იქ იქნებოდა, სადაც საჭირო იყო. მართლაც და იაპონელების იმედი საოცრად ასრულდა. ადმ. ტოგომა და იმისმა ფლოტმა მთელი ქვეყნიერობა გააკვირვეს უმაგალითო გამარჯვებით. („ო. ნ.“)

ტფილისის სათავად აზნაურო სკოლა და მისი სასურველი ცვლილებანი

წერილი პირველი

დრონი იცვალნენ. დაძინებულმა გამოიღვიძა, თავი მაღლა აიღო და ხმა მაღლა ლაღადებს: „ასე ცხოვრება აღარ შეიძლება!“ გუშინდელი ყურმოჭრილი ყმა დღეს თამამად ეუბნება ბატონს: „გეყოფა ბატონობა, თვითნებობა. ეხლა ადგილი დაუთმე იმას, ვინც თავის კისრით ატარებს უღელს ვინც თავის ოფლით და სისხლით რწყავს თავის საქმეს“!

თავისუფლების სიომ მიაღწია სათავად-აზნაურო სკოლამდის და გამოაფხიზლა მისი მოთავენი—მასწავლებელნი. ამათაც მოისურვეს თავისუფლად სუნთქვა და გულახდილად გამოაცხადეს „ივერიის“ ფურცლებზედ, რომ საჭიროა, აუცილებლად საჭიროა, დაუყოვნებლივ, რამდენადაც გარემოებანი საშუალებას აძლევენ, საზოგადოებამ ყურადღება მიაქციოს სკოლას და შეიტანოს მის ცხოვრებაში ზოგიერთი ცვლილება.

ამ ბოლო დროს საზოგადოებაში ხშირად გაიგონებდით, რომ სათავად-აზნაურო სკოლის საქმე ცუდად მიდისო. ერთად-ერთ საზომად გამკიცხველებს ისა ჰქონდათ, რომ სათავად-აზნაურო სკოლის მოსწავლეები ვერ იჭერენ უკანასკნელ ეგზამენს მთავრობის გიმნაზიაში მოწმობის მისაღებად და თვით სკოლას ძლიერ ცოტანი ათავებენ, როცა მოსწავლეების რიცხვი აღემატება 700. გამკიცხველთ აზრად არ მოსდიოდათ, რომ მოვლენის დაფასება არ შეიძლება შედეგის მიხედვით: იგინი არა ფიქრობდნენ, რომ მოვლენას აქვს თავისი მიზეზი ან მიზეზები, რომელთა გათვალისწინება საჭიროა, თუ გვსურს მართალი, მიუდგომელი მსჯავრი ,დავდოთ რაზედმე.

და თუ მიზეზს მივიღებთ მხედველობაში და ამ მხრივ შევხედავთ სათავად-აზნაურო სკოლას, დავინახავთ, რომ სკოლა უძლური იყო აეცილებინა თავიდან ის დანაშაული, რომელსაც მას უკიჟინებენ.

მაშ, საჭიროა საზოგადოებამ გაიცნოს ეს მიზეზები, რომ შესძლოს მათი მოშორება და სკოლის იმგვარ გზაზედ დაყენება, რომელიც პირნათლად აასრულებინებს მოვალეობას.

ვინც დაჰკვირებია ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლას, იმისთვის ცხადია, რომ სათავად-აზნაურო სკოლას ნამდვილი სკოლის სახელი არ დაერქმის. იგი უშველებელი პანსიონია, მოსამზადებელი სკოლაა, სადაც მასწავლებელნი იძულებულნი არიან მთელი თავისი ძალღონე მოანდომონ მოსწავლეების გაწვრთნას მარტო იმისთვის, რომ გაუადვილონ მთავრობის გიმნაზიებში შესვლა ან იმავე გიმნაზიიდან კურსის დამთავრების მოწმობის მიღება. სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებლები მასწავლებლები კი არ არიან, რამედ რეპეტიტორები, უფრო მოუხეშავად რომ ვსთქვათ натаскиватели, რომელნიც ტყავიდან სძვრებიან და სცდილობენ, რომ მათმა მოსწავლეებმა როგორმე ბედნიერი ბილეთი ამოიღონ მთავრობის გიმნაზიის ლატარიაში. ამ მდგომარეობაში ჩაყენებული სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელი მონაა სხვის პროგრამისა, სხვის გემოვნებისა და სხვის ქეიფისა. ხომ მოგეხსენებათ, რომ ყოველ მასწავლებელს თავისი საყვარელი საკითხები აქვს, თავისებურად მოსთხოვს მოსწავლეს ცოდნას. ამ ორ გარემოებას ხშირად გადამწყვეტი ხმა აქვს მოსწავლის ბედ-იღბალში. რა საკვირველია, რომ სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელი, თუ სურს მშვიდობით გაატაროს თავისი მოწაფე გამოცდის სცილლასა და ხარიბდაში, სრულიად ემორჩილება სხვის აზრებს და ნებას, ეჭვი არ არის, რომ ამ გვარი მოვალეობა არავისთვის არ არის საინტერესო და გულგრილად სრულდება იგი. მასწავლებელი ხელებ და ფეხებ შებოჭილი ვერ ახერხებს სული და გული შესწიროს უმადურ საქმეს, გამოიჩინოს თავისი ნიჭი და ნაყოფიერად იმუშაოს. წარმოიდგინეთ ტანჯვა-წვალება იმ მასწავლებლისა, რომელსაც ბუნებამ მისცა ნიჭი მოზარდ თაობის ხელმძღვანელობისა. ერთ-ორ წელიწადს თუ გაუძლებს არა სასიამოვნო და უსარგებლო მუშაობის შესრულებას; მერე ან უსულო მანქანა გახდება, რომელიც უგულოდ და მექანიკურად დაიწყებს მოვალეობის ასრულებას და გახდება ყურმოჭრილი ყმა დევიზისა: „что прикажете“? ან თავს დაანებებს სკოლას. რა საკვირველია, რომ სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებლების ნაყოფი მცირედია, შეუსაბამო იმ ხარჯთან, რომელსაც საზოგადოება ეწევა სკოლის შესანახად. სანამ სკოლა არ იქნება დამოუკიდებელი დაწესებულება, სანამ სკოლა არ იქნება განთავისუფლებული ძნელსა და უსიამოვნო მოვალეობისგან, მოამზადოს ბავშვები მთავრობის გიმნაზიებში, სანამ სკოლას არ ექნება დამოუკიდებელი პროგრამმა სწავლისა, მანამ კეთილ ნაყოფს ვერ გამოიღებს, დასწერივ დაეშვება და უსათუოდ დაიღუპება.

აი ერთი უმთავრესი იმ მიზეზთაგანი, რომელიც ხელს უშლის სათავად-აზნაურო სკოლაში სწავლის კარგად წაყვანის საქმეს.

ბევრი სხვა მიზეზიც არის. იმათზე შემდეგ. **შ. ჩიტაძე.**

სოფლად

კახეთი. ცხვარი უკვე ავიდა კავკასიონის იალაღზე. ვინც მეშველად გაჰყვნენ, დაბრუნდნენ და არა საიმედო ამბავი ჩამოიტანეს მთიდან: ლეკებს უთქვამთ, გვეუბნებიან იარაღს მოგცემთ, წადით ქართლსა და კახეთს დაეცით, დასაჯეთ, „ბუნტობენ“, ხარჯს აღარ იძლევიანო. ჩვენც და ჩეჩნებმაც უარი ვუთხარით, თუმცა იარაღი კი ვთხოვევითო. რამდენად მართალია მთიდან ჩამოსულების ნაამბობი, ძნელი გამოსაცნობია. თუ ნათქვამს დაუმატებთ დღეს, 27 მაისს, თელავში გამოსულ შილდელების ნაამბობს, რომ ლეკები გვეუბნებიან, ჩვენ ჩამოსვლას ვაპირებთ, თქვენ არას დაგიშავებთ, გაგვატარეთ თქვენ სოფელზე, თელავს და „უდელს“ უნდა დავეცეთო. ყველა ეს მოახსენეს მაზრის უფროსს, თოფები სთხოვეს, თუმცა უარი მიიღეს თხოვნაზე. ამ ორ კვირაში რამდენიმე ლეკი დაიარებოდა და თელავის ბაზარს და ქუჩებს ათვალიერებდა. სცდილობდნენ თოფის წამლის ყიდვას, მაგრამ არ მიჰყიდეს. გამოჩნდა ერთი, თვით იყიდა გირვანქობით, მოუგროვა კარგა ძალი წამალი და გაატანა იმ ლეკებს.

სამსავე ამბავს ერთ ძაფზე თუ ვერ ავკინძავთ, აქა-იქა გადაბმა-კი შეიძლება. სამსავე ამბავს, ხალხში გავრცელებულს, რომ არავითარი საფუძველი არა ჰქონდეს, მაინც საფიქრებელია, რომ ამისთანა ამბების გავრცელება გამბედაობას მოუმატებს უზნეო ადამიანთ, ლეკი იქმნება იგი, ქართველი, სომეხი თუ თათარი, რომლისთანებიც ყველა ხალხში და ყველა ადგილას მოიპოვებიან. შეიძლება, ამ ამბებით წაქეზებულები, შეერთდნენ და ათასი ავ-კაცობა ჩაიდინონ, ამიტომ საჭიროა, თვითეულ სოფელში და თვით თელავშიაც ფხიზლად იყვნენ ყოველნაირ ბრბოს მისაგებებლად იმისდა მიუხედავად ეს ბრბო ბნელის ძალების ნაშობი და ნაღვაწია, თუ თავისთავად დაბადებული.

რასაკვირველია, სოფლადაც და ქალაქადაც ყველას ესმის, რას ჰნიშნავს **ფხიზლად ყოფნა.** ეს ყველას, იმედი მაქვს, ესმის და ისეც მოაწყობენ ყველგან საქმეს. არც ისე დიდი ხანია მას აქეთ, რაც ჩვენი თავი ჩვენ ანაბარას იყო და ვიცავდით გარეშე მტრისაგან. ნუ მკითხავენ ქართლ-კახელნი ვიზედ ლაპარაკობო, როცა ყველას რუსეთის ჩრდილოეთისაკენ მიუქცევია პირი და თხოულობს იმას, რაც, დიდი ხანია, უნდა მისცემოდა. ვინ არის უკან ჩამორჩენილი, რომ ამ დიდ საქმეს არ ემსახურება და აფერხებს კიდეც? მარტო უკეთური და ქვეყნის მტერი, ღვთისა და ხალხის მოღალატე, უპატიოსნო და უსინიდისო, მოძმის გამყიდავი და უკუღმართი. ნურც იმას მკითხავენ: სად არიან ეგენი და ვინ არიან, რომ ჰპედავენ ამოდენა ხალხის წინააღმდეგობას? სად არიან, ეგენი და ვინ არიან, რომ სტიქიურ ძალის შეჩერება სცდილობენო რომ ნახევრად გაკეთებული **დიადი საქმის** ჩაფუშვა განუზრახავთ? რა ძალი და ღონე შესწევთ იმ უკეთურთ და ქვეყნის მტრებს, რომ წინ ეღობებიან მოზღვავებულ ხალხს? ამის პასუხი ადვილია, რადგან ყველამ იცის, რომ ისინი აქაც არიან და იქაც და არც მათი ვინაობაა უცნობი, თქვენ კარგადა სცნობთ. **ნადიკვრელი.**

ოფიციალური ცნობა

(„კავკაზ“, № 140).

როგორც მიღებულ ცნობებიდანა სჩანს, ქ. ერევანში მომხდარ უწესოების დროს, სამი დღის განმავლობაში, მოკლულ იქნა სომეხი—9, მაჰმადიანი—21 და აისორი—1, სულ 31 სული. დაიჭრა 24 სომეხი, 10 მაჰმადიანი, 1 ებრაელი და 1 რუსი. 26 და 27 მაისის დღეებში გარეგანად მშვიდობიანად ჩაიარა. ხოლო 27-ს ღამე გუბერნატორის სადგომიდან დაბრუნებულ ერევნის საგლეხო საქმეთა საკრებულოს წევრს მარჩუნკოს და საგანგებო საქმეთა მოხელეს ვოლჩანინს ბნელაში ესროლეს თოფი, მაგრამ ააცდინეს. ბაზარში ექვს სავაჭრო ადგილას აღმოჩნდა ქურდობა. იმავე ღამეს ცეცხლი წაუკიდეს ერთ მაჰმადიანის ცარიელ სახლს, მაგრამ მალე ჩააქრო პოლიციამ. დუქან-მაღაზიები ქალაქში, ზოგიერთ ფურნეების გარდა, აღარ გაუღიათ.

წინანდელ ცნობაში მოხსენებული იყო ამბავი ს. კიალალში მომხდარ უწესოების შესახებ. როგორც შემდეგში გამოირკვა, ამ სოფლის სომხებსა და მაჰმადიანებს შორის ამტყდარი სროლა დროზედ შესწყდა ეჩმიაძინის მაზრის უფროსის მეცადინეობით.

ერევნის მაზრის კამარლინსკის საბოქაულოში, ისევ ისე არეულობაა, რის შედეგიც რამდენიმე დაჭრილ-მოკლული იყო. იმავე მაზრის პოლიციის მეორე საბოქაულოში მაზრის უფროსის თანაშემწის თავის დროზე მისვლამ მოსპო სასიკვდილო შეტაკება. პირველ საბოქაულოს ერთ ნაწილში ბოქაულის მიერ დაცულ იქმნა მშვიდობიანობა, ხოლო მეორე ნაწილში სომხებმა, როცა ესენი თავიანთ ოჯახობას ისტუმრებდნენ მახლობელ სოფელში, დაიჭირეს ხელში იარაღით ერთი მაღლობი ადგილი.

ფელეტონი

ნიკოლოზ დიმიტრის ძე ჟიფიანი

(ნეკროლოგის მაგიერი)

ეს იყო 189...წელს. შუადღე კარგად გადასული იქნებოდა. ამ დროს ლუვენის მოედანზედ ყოველთვის დიდი მოძრაობაა, რადგან აუარებელი ხალხი, უმეტეს ნაწილად გაზეთების დამტარებელნი, საღამოს გაზეთების რედაქციებს შემოჰხვევიან და მოუთმენლად ელიან ახალ გაზეთის გამოსვლას. ასე ორმოცი წლის კაცი ღარიბად, მაგრამ სუფთად ჩაცმული, მიეახლოვა ერთ პატარა გოგოს, რომელიც კედელთან მიცუცქული გაზეთებს აწყობდა.

— ახალი გაზეთებია?

— არა, ბატონო, ახალი 4 საათზედ გამოდის. ჯერ ხომ ოთხი საათი არ არის? ეხლავ გააღებენ კარებს; თუ ჩვენგან იყიდის ბატონი გაზეთს, ეხლავ მოურბენინებ!

— უთუოდ შენგან ვიყიდი,—უპასუხა უცნობმა ძალდატანებულ ღიმილით და თან სახე მიაბრუნა, რომ მღელვარება დაემალა.

— რედაქციაში შესავალი კარები საითკენ არის?—იკითხა მან პატარა სიჩუმის შემდეგ.

— წამობძანდით, მე თვითონ მიგიყვანთ,—უთხრა გოგომ ისეთის ხალისით, რომ უცნობმა უარის თქმა ვერ მოახერხა და უკან გაჰყვა.

ხშირად, ერთი უბრალო და თავისდათავად უმნიშვნელო გარემოება ადამიანის მთელ ცხოვრების ბედ-იღბალს სწყვეტს ხოლმე. ეხლაც უცნობი მისდევდა უკან პატარა ცქრიალა გოგოს და ათასი ფიქრი და გრძნობა უღელავდა გულს, რომელიც ისე უცემდა, თითქოს ყოველ წინ გადამდგარ ნაბიჯს მთელი მისი ბედი-იღბალი უნდა გადაეწყვიტა.

შორის ქვეყნიდან გადმოვარდნილს, ამ უცხო ქვეყანაში, სადაც ერთი ნაცნობიც-კი ,არ მოეპოვებოდა, მას გადაწყვეტილი ჰქონდა თავის შრომით და მხნეობით გზა გაეკვლია. ოროთდე მანეთი, რომელიც თან ჩამოჰყვა, უკვე გამოლეოდა; დღეს-ხვალ სახლიდან დაითხოვდნენ და ცის-ქვეშ დარჩენილს შიმშილით სიკვდილი მოელოდა. ორმოცი სანტიმი-ღა ედო ჯიბეში; ეს უკანასკნელი ფული მიჰქონდა რედაქციაში განცხადების დასაბეჭდათ. სტრიქონის ფასი განცხადებისა 40 სანტიმი იყო. „იტალიურ ენის გაკვეთილები, გავრის ქუჩა № 33“. სიტყვების შემოკლებით ეს განცხადება ერთ სტრიქონში ძლივს მოითავსებოდა. ამნაირად დასტამბულ განცხადებას წაიკითხავდა ვინმე? ვინ იცის, იქნება უკანასკნელ ფულს უბრალოდ ჰკარგავდა!

— აი, ბატონო, ეს ზარი უნდა დარეკოთ რედაქციისათვის,—მიუთითა გოგომ ზარზე, რომელსაც თვითონ ვერ შესწვდა, რომ დაერეკა.

უცნობს მადლობა უნდა ეთქვა, მაგრამ მეტის აღელვებით ხმა ჩაუწყდა. ჩაიყო ჟილეტის ჯიბეში ხელი და მადლობის მაგიერ ხუთი სანტიმი გაუწოდა გოგოს.

მთელი დღე შიმშილს ითმენდა, რომ ამ ორმოცი სანტიმისათვის არა მოეკლო-რა და აგერ უკანასკნელ წამს „ერთი სტრიქონის ფულიც აღარა მაქვსო“—წაიბუტბუტა უცხომ, როდესაც ათრთოლებული ხელი ზარის დასარეკად მიიტანა.

— დირექტორის ნახვა მსურს,—უთხრა მან მსახურს ისეთის კილოთი, რომელიც სიტყვის შებრუნებას არ უთმენდა.

— თქვენი სახელი?

— ჩემს სახელს თვით ვეტყვი დირექტორს.

პატარა ხნის უკან უცნობი დირექტორის კაბინეტში იყო.

— ბატონო დირექტორო, მე მსურს თქვენს გაზეთში პატარა განცხადება მოვათავსო.

— ეგ მე არ შემეხება, ადმინისტრატორს მიმართეთ!

ამ სიტყვებით მან ზარი დარეკა, რომ მსახურს უცნობი ადმინისტრატორთან მიეყვანა.

— არა. მე სწორედ თქვენთან მაქვს სათხოვარი...—კიდევ რაღაცა უნდა ეთქვა, მაგრამ ხმა აუკანკალდა. ჩაიყო ჯიბეში ხელი, ამოიღო პატარა ქაღალდზედ დაწერილი განცხადება და გაუწოდა.

— გთხოვთ, ეს პატარა განცხადება დამიბეჭდოთ თქვენ გაზეთში უსასყიდლოდ, რადგან ფული...

დირექტორმა შეამჩნია უცნობს საშინელი აღელვება და უცბად სიტყვა გააწყვეტინა.

— რამდენჯერ გნებავთ დაიბეჭდოს?—ჰკითხა მან.

— სამჯერ, თუ შეიძლება.

— წინააღმდეგი ხომ არ იქნებით მეტჯერ დაიბეჭდოს?

— მადლობელი გახლდებით!

— გადაეცით ეს განცხადება ადმინისტრატორს,—უბრძანა დირექტორმა მსახურს,—და ჩემს მაგიერ უთხარით, ოცდა ათჯერ დაიბეჭდოს.

უცნობმა მადლობა გადაუხადა და კმაყოფილი გარედ გამოვიდა. მოედანზედ იგივე მოძრაობა და ხმაურობა იყო; მაგრამ უცნობი არაფერს ხედავდა და არც არაფერს ყურს უგდებდა. ის გაშმაგებული მიეშურებოდა, მირბოდა... რომ ორი შაურის პური ეყიდნა და სული მოებრუნებინა.

გავიდა რამდენიმე დღე. გაკვეთილებისთვის არავინ მიდიოდა. გამხდარი, ფერწასული, შიმშილით დასუსტებული და მოკაკული, უცნობი ოთხ უშველებელ წიგნით დატვირთული ძლივსღა მიათრევდა ფეხებს. აგერ დილა ადრიან გამოსული, ის მეორმოცე ჯერ რეკავდა კარის ზარს. ნუ თუ ამ სახლიდანაც ისე უკმეხად გაისტუმრებენ, როგორც სხვა სახლებიდან. დაბეჭდილი ბარათები, რომლებითაც ამ ძვირფასს წიგნების გამომცემელი მდიდრებს მიმართავდა რომ ეს წიგნები გაესაღებინა, ალბად კარგად არ იყო შედგენილი.

— პირადად რომ შემეძლოს მათი ნახვა, იქნება უფრო გამეყიდა,—გაიფიქრა უცნობმა.

— არ შეიძლება პირადად გადავცე ეს ბარათი თქვენს ქალბატონს?—ჰკითხა მან კარებში გამოსულ შვეიცარს, და როდესაც მსახურმა უთხრა, რომ ქალბატონი არავის ინახულებსო, უცნობმა გადასცა ბარათი. თითონ ქოშინით მიჰყვა მსახურს და, როგორც დამნაშავე, სამსჯავროს გადაწყვეტილების მოლოდინში, გაჩერდა კარების წინ, რომლიდანაც მსახურს სასჯელი უნდა გამოეტანა.

ოდნავ ღიად დატოვებულ კარებიდან დაინახა სავარძელში მისვენებული ქალბატონი, რომელმაც მსახურს წაუკითხავად დაუბრუნა ბარათი. მერე უბძანა, ერთ ფანჯარასთან დამდგარი ყვავილები სხვანაირად დაელაგებინა. უცნობი ზურგზე წამოკიდებული წიგნებით მაინც ელოდა მსახურის გამოსვლას. ბოლოს ვეღარ მოითმინა და კარები შეაღო.

— ხომ გითხარით დერეფანში მოგეცადნათ!—უთხრა უკმეხად მსახურმა.

— ალბად, თქვენ არ მოგიხსენებიათ ქალბატონისათვის, რომ ასეთის სიმძიმით ვიყავ დატვირთული, თორემ ამდენ ხანს არ მომაცდენინებდა.

ეს ისეთის საყვედურის კილოთი იყო ნათქვამი, რომ ქალბატონი შეკრთალი ფეხზე წამოდგა, მიუახლოვდა უცნობს და სთხოვა, წიგნები ეჩვენებინა. უცნობი ფურცლავდა სურათებიან წიგნს, ქალბატონი კი მალულად შესჩერებოდა იმის დაღლილ სახეს, მაღალ შუბლს და ლამაზ გამომეტყველ სახეს და, ვინ იცის, რა ფიქრებმა გაურბინეს.

ორივე სოფელში გაჩნდა ცეცხლი, მაგრამ პოლიციის დარაჯებმა დაუყოვნებლივ ჩააქრეს. მესამე ადგილას სომხები დაეცნენ მაჰმადიანების ერთ სოფელს, მაგრამ დაწვრილებითი ცნობები ამის შესახებ ჯერ არ მიღებულია.

—

კამარლუდან იუწყებიან, რომ 28 მაისს თათრების დიდი ბრბო გადმოვიდა მდინარე არაქსს, კამარლუს მახლობლად. საზღვრის დარაჯებმა, შენიშნეს თუ არა ესა, ურჩიეს უკან დაბრუნება; ჯერ სამჯერ გასაფრთხილებლად გაისროლეს და მერე დაუშინეს თოფები. მოკვდა 3 და დაიჭრა 6 თათარი. ამის შემდეგ თათრების ბრბო დაბრუნდა თავის მიწა-წყლისაკენ.

ახალი ამბავი

—

◆ გუშინ, 1 ივნისს, ტფილისის სემინარიის სადგომში უკანასკნელი **კრება ჰქონდა ქართლ-კახეთის სამღვდელოებას.** გამოირკვა როგორ და ვინ მოიწვია გუშინ პოლიცია და ყაზახ-რუსები. კრებას წარუდგა რამდენიმე მღვდელი, თავპირ დასისხლიანებული. კრებამ აარჩია დეპუტაცია და დაავალა წარუდგეს კავკასიის ნამესტნიკს, აცნობოს საქმის ყოველივე ვითარება და სთხოვოს გამძევებულ იქმნენ ისინი, რომელთაც ყაზახები და პოლიცია სამღვდელოებას თავს დაასიეს. დეპუტაცია დღეს წარუდგება ნამესტნიკს. სამღვდელოებამ დეპეშა გაჰგზავნა პეტერბურგში ხელმწიფე იმპერატორთან ამ საშინელ ამბის შესახებ.

◆ გუშინ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს წევრებს მარშლებთან ერთად თათბირი ჰქონდათ იმ ამბისა გამო, რომელიც გუშინ-წინ **ქართლ-კახეთის სამღვდელოებას** შეემთხვა სემინარიასა და იმის წინ.

◆ როგორც გვატყობინებენ, შარურო-დარალაგეზის მაზრის **თათრები შესდგომიან სომხების ჟლეტას** ერევნისა და კამარლუს გამო სამაგიეროს გადასახდელად. მაზრაში უკვე ჩასულა ორი სოტნა ყაზახ-რუსებისა და ორი როტა პოლტავის პოლკისა. ამათ გარდა დაბარებულია სამი სხვა როტა პოლტავის პოლკისა. 30 მაისს თათრები დაეცნენ ულიანორაშენს და ხინოშხლერს. სალდათებმა ამათ ორჯელ ესროლეს თოფები და უკან დასწიეს, მაგრამ თათრებმა შემდეგ ხელ-ახლა მიიტანეს იერიში და როტამ ვეღარ შესძლო უწესოების ჩაქრობა, ამიტომ ორი დღეა ულიანორაშენში ჟლეტა-ხოცვა და ცეცხლის წაკიდებაა. ჯულფის გზაზე მუშები სულ ერთიან გაიფანტნენ და აქა-იქ დაიმალნენ.

◆ 31 მაის საღამოთი ერევნის მოედანზე ვიღაც კაცმა რამდენჯერმე რევოლვერი დაახალა პოლიციელს ნიკოლოზ შელუხას და **იქვე მოჰკლა.** როგორც ამბობენ, პოლიციელი მკვლელს რაღაც მიზეზისათვის პოლიციაში მიათრევდა; მკვლელი არ დანებებია და რაკი ხვეწნით ვერა გაუწყვია-რა, რევოლვერი უსროლია და მოუკლავს. ვერ გავიგეთ, მკვლელი დაიჭირეს თუ არა.

◆ 31 მაისსა და 1 ივნისს ტფ. **სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის** რწმუნებულებმა განაგრძეს დანიშნულ საქმეთა განხილვა. როგორც აღვნიშნეთ, კრებამ საჭიროდ სცნო 12 ივნისამდე გადასდოს იმ საგნების განხილვა, რომელსაც კავშირი აქვს სარევიზიო კომისიის მოხსენებასთან დარჩენილ მამულების შესახებ. ამ კრებაზე, სხვათა შორის, აღიძრა საკითხი იმის შესახებ, რომ ბანკმა რაიმე დახმარება აღმოუჩინოს ბანკში მამულების დამგირავებელთ, რადგან ამ წლის მოძრაობამ მემამულეებს საქმე მეტად გაუჭირა, შემოსავალი აღარა ჰქონდათ და სხვ. კამათი გამოიწვია წინადადებამ იმის შესახებ, აქვს თუ არა იურიდიულად უფლება ბანკს დახმარება აღმოუჩინოს მემამულეებს სავალო გადასახადის შესატანად. კარგა ხანს კამათის შემდეგ გადასწყვიტეს, რომ ამისი უფლება ბანკს არა აქვს. ამასთანავე კრებამ ის აზრი გამოსთქვა, რომ თავად-აზნაურობას აქვს თავისუფალი თანხა ამ საგნისათვის და თუ თავად-აზნაურობა დახმარებას აღმოუჩენს, ბანკი ისევ შეავსებს დახარჯულ თანხასო. 1 ივნისის კრებაზე, იმ დროს, როცა რწმუნებულნი სხვა საკითხების განხილვას აპირობდნენ, ერთმა დამსწრეთაგანმა თავმჯდომარეს სიტყვა სთხოვა, კრებასთან ბოდიში მოიხადა და განაცხადა, ერთი მეტად აღმაშფოთებელი ამბავი უნდა მოვახსენო კრებასაო. თავმჯდომარემ კრება რამდენისამე წუთით შესწყვიტა და დამსწრე საზოგადოებამ მოისმინა ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ შეურაცხჰყო პოლიციამ 31 მაისს ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამღვდელოება, რომელიც თავის საჭიროებაზე მოსალაპარაკებლად შეგროვილიყო. ამ ამბავმა მეტად აღაშფოთა დამსწრე საზოგადოება. თავმჯდომარემ ოფიციალურად კრება გახსნა და აცნობა რწმუნებულთ, რომ რადგანაც ეს ამბავი შეგვეხება ჩვენც, როგორც ქართველ ხალხს, და ასეთ აღმაშფოთებელ ამბის შემდეგ კრების გაგრძელება ყოვლად შეუძლებელია, კრებას ვხურავ, დანარჩენი საქმეები 12 ივნისამდე გადაიდოსო. კრებამ ერთხმად მიიღო თავმჯდომარის წინადადება.

◆ „ნ. ობ."-ს სიტყვით, სენაკის მაზრის სოფ. კუციაში **პოლიციას შეუპყრია** ი. კენკია, ი. ხარებავა, ი. ჯანელიძე, და ი. კონთხოჯია. იმათ სწამებენ მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციასა და მავნე თხზულებების გავრცელებას.

◆ ბაქოს საგუბერნიო ადმინისტრაციას კავკასიის ნამესტნიკის განკარგულება მიუღია, რომ არც ერთი თავისუფალი ადგილი აფიცრებისა და საერობო დარაჯებისა არ მიეცეს არავის, სანამ ამის შესახებ ახალი განკარგულება არ მოხდება. ფიქრობენ, განზრახულია, რომ **საერობო დარაჯი სრულიად გააუქმონ** („კას.").

◆ **ქართულ დრამატიულ-საზოგადოების გამგეობას** შუამდგომლობა აღუძრავს ნამესტნიკის წინაშე, რომ მომავალ სეზონისათვის ქართულ წარმოდგენებს სახაზინო თეატრში კვირაში ერთი დღე დაეთმოს იმ პირობით, რა პირობითაც დაეთმობა თეატრი ოპერის ანტრეპრენიორს. როგორც გავიგეთ, დრ. საზ. თხოვნა შეწყნარებული იქნება.

◆ 31 მაისს საღამოს, $8^{1}/_{2}$ საათზე, ვაგზლის ახლოს, ხიდთან, **რევოლვერი ესროლეს** რკინის გზის სახელოსნოს უფროს ოსტატს ილია გარბენკოს. ჭრილობა საშიშიაო. მსროლელი დაიმალა.

◆ **თელავი.** 22 მაისს თელავში მოხდა მასწავლებელთა კრება, რომელსაც დაესწრნენ ზემო კახეთის სოფლების და თელავის სკოლების მასწავლებელნი და გარეშე პირნი. კრებამ მოისმინა მოხსენება კ. სეხნიაშვილისა, რომელმაც სოფლის სკოლის აწინდელი მდგომარეობა და მისი უნაყოფობა დახატა. გაიმართა კამათი, რომლის დროსაც გამოირკვა ყოველი ნაკლი აწინდელ სწავლების წესრიგისა, რაც კრებამ ერთხმად დაჰგმო და განაცხადა, რომ ამავე წეს-რიგით სწავლების დაწყება მომავალ სამოსწავლო წელს ყოვლად შეუძლებელიაო. გამოირკვა, რომ მასწავლებლის კეთილდღეობა მჭიდროდ არის შეკავშირებული თვით ხალხის კეთილდღეობასთან. ამიტომ მასწავლებელთა ერთ უდიდეს მოვალეობას შეადგენს ხალხში ცნობიერების გავრცელება. კრებამ მოისმინა პეტერბურგის მასწავლებელთა მოხსენება და მოსკოვში შემუშავებული პროგრამა და წესდება. კრებამ დაადგინა. ა. ეთანხმება რა 11, 12 და 13 აპრილს მოსკოვში მომხდარ მასწავლებელთა კრების მიერ შემუშავებულ პროგრამას და იღებს-რა ადგილობრივ პირობათა თანახმად მცირე რაიმე ცვლილებით იმავე კრების მიერ შემუშავებულ წესდებას, ემხრობა კავშირს: კახეთისათვის აარსებს სარაიონო ბიუროს განყოფილებას. აირჩია ბიუროს განყოფილების ხუთი წევრი.

კრებას სხვა და სხვა მიზეზების გამო ვერ დაესწრო თითქმის $^{1}/_{3}$ მასწავლებელთა. კრებამ სრული იმედი გამოსთქვა, რომ ყველანი მიემხრობიან კრების დადგენილებას და მომავალ სამოსწავლო წლის დასაწყისში შეერთებულის ძალით შეუდგებიან საქმეს.

◆ **კახეთი.** თუმცა სოფლად მოძრაობა მიყუჩდა, მაგრამ ეს იმას არა ნიშნავს, გლეხებს ან დავიწყებოდეთ, ან უარ ეყოთ ის, რაც საყოველთაოდ გამოაცხადეს.

◆ 30 მაისს, დილის $10^{1}/_{2}$ საათზე, როგორც „კას." გადმოგვცემს, **ბაქოს პოლიციის პირველ ნაწილში** მიუყვანიათ განჯის გუბერნიის ჯებრაილის მაზრის, ს. ცურის მცხოვრები მიხეილ ბალდასარიანი, როგორც აღმოჩნდა, ბალდასარიანს, ეტლით მიმავალს, ნაბერეჟნი ქუჩაზე, საბანაოს პირდაპირ, რევოლვერი ესროლა ტრამვაის ვაგონში მსხდარ თათრებისთვის. ტყვია მოხვედრია ქუდში მანსურ მანსუროვს. ბალდასარიანი კიდევ აპირებდა თურმე გასროლას, მაგრამ პოლიციელებს შეუპყრიათ და რევოლვერებიც წაურთმევიათ. ამან ძალიან შეაშინა თურმე თათრები.

◆ რედაქციამ მიიღო **საყმაწვილო ჟურნალის „ნაკადულის"** მე-15 ნომერი (მცირე წლოვანთათვის).

◆ **პროფესორი მარრი** 31 მაისს გაემართა ანში, სადაც შეუდგება იქაურ სიძველეთა გამოკვლევას. პროფესორი ანში სექტემბრამდე დაჰყოფს.

◆ ჩვენ გვთხოვეს დავბეჭდოთ: გამგე კომიტეტი ტფილისის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა ღარიბ მოწაფეთა შემწეობისათვის ღრმა მადლობას უძღვნის სტატსკი სოვეტნიკს ნიკოლოზ იაკობის ძეს ალექსი-მესხიშვილს, რომელმაც შემოსწირა საზოგადოების სკოლის შენობის ეკლესიას 1040 წლის ეტრატზე ხუცურად ნაწერი ქართული სახარება, ცოტა დაზიანებული ვერცხლის ყდითა, და ოქროს ხატი წმ. ჯვარცმისა 73 წმ. ნაწილით, ჩასმული ზემოთ ოქროთი და ქვემოდ ვერცხლით შეჭედილ კიოტში გულზე სატარებელ ვერცხლის ჯაჭვითურთ.

◆ როგორც გვატყობინებენ, ოქროვანთ ხევში (კოჯრის გზაზე) სამი კვირაა, ვიღაც მკვდარ კაცის გვამი გდია და პატრონი არავინ არის, რომ მიხედოს. ტფილისის პოლიცია ამბობს, გვამი ჩვენ რაიონში არ არისო; მაზრის პოლიცია კიდევ არსად სჩანს.

◆ წელს განჯის ვაჟთა გიმნაზია გაათავა შემდეგმა ქართველებმა: მიხ. ლიონტმა, გრიგ. მძინარაშვილმა და მ. ბილანაშვილმა, უკანასკნელმა ექსტერნად. ქალთა წმ. ნინოს 7 კლასიანი სასწავლებელი დაასრულეს: ნინო გურამიშვილმა და ელენე მახარაძემ.

◆ 31 მაისს, საღამოს 5 საათზე, სოფ. ავჭალაში, სადგურზე, ვიღაცამ რევოლვერით სასიკვდილოდ დასჭრა გ. გარსაძოსელი. დამჭრელს ჟანდარმი გამოსდევნებია, მაგრამ იგი მტკვარში გადავარდნილა. არ იციან, დაიხრჩო თუ არა.

დ ე პ ე შ ა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი. სათავად-აზნაურო ბანკის დირექტორებად აირჩიეს ვ. აბულაძე და თ. ნ. თავდგირიძე. გუშინ საქალაქო თეატრში პროკლამაციები გადმოყარეს ტუსაღების შიმშილის შესახებ. კონცერტი არ შესდგა. დუქნები და მაღაზიები დაკეტილია.

ქუთაისის ახალი ამბები

—

◆ როგორც „ნოვ. ობ."-ს ატყობინებენ, ქუთაისის საპყრობილეში გაიფიცნენ პოლიტიკური დამნაშავენი. რამდენიმე დღე ტუსაღებს არა უჭამიათ-რა. ზოგს მათგანს უკანასკნელ ორ დღემდე წყალიც არ დაულევია. 30 ამ თვეს პოლიტიკურ დამნაშავეთ მხარი მისცეს სხვა 1.2 ტუსაღმაც და უარი განაცხადეს საჭმელზე. 30 მაისს ამ საქმის გამო საპყრობილეში იყო გუბერნატორი.

◆ 31 მაისს ქუთაისის ცეცხლისაგან ურთიერთ დამზღვევ საზოგადოების კრებამ დაამტკიცა წარსული წლის ანგარიში და მდგომარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა. შემდეგ აარჩია გამგეობის წევრი ბ-ნი იოსებ ჭილაძე, რომელმაც მიიღო 174 თეთრი და 85 შავი კენჭი. დანარჩენი კანდიდატები ნიკ. კანდელაკი და ი. ჩიმაკაძე გაშავებულ იქნენ. მეოთხე კანდიდატმა თავ. ფალავამ არ დაიდგა ყუთი. ამ ნაირად როგორც იქნა დაწყნარდნენ ჩვენი მეკენჭეები, რომელთაც მთელი ორის თვის განმავლობაში 500 მანეთიახ (წლიურად). ადგილის გულისათვის ქუთაისის საზოგადოება შეაწუხეს.

◆ 26 მაისს მოხდა ქუთაისის საქველმოქმედო საზოგადოების წევრთა კრება, რომელსაც დაესწრო სულ 7 კაცი, როგორც გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრნი; ასე რომ ნამდვილად კრებას მხოლოდ სამი წევრი დაესწრო. თავმჯდომარეობდა თავმჯდომარის ამხანაგი ა. ბ. ლორთქიფანიძისა.

კრებამ განიხილა და დაამტკიცა 1902—1905 წლის (21 მაისამდე) ანგარიშები. შემდეგ კრებამ ერთხმად დაადგინა მადლობა გამოუცხადოს საზოგადოების თავმჯდომარეს ქ-ნ სმაგინასას საზოგადოების სასარგებლოდ შრომისათვის. საზოგადოების გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები გადადო ორის კვირით. კრებაზე წაკითხულ იქმნა ერთი საინტერესო წერილი, რომელსაც აქვე გაცნობთ საზოგადოებას. რამდენისამე წლის წინად ერთს მდიდარს ქართველს ფილიას შემდეგის წინადადებით მიუმართავს საზოგადოების გამგეობისათვის: მე მზადა ვარ ხუთასი თუმანი შევწირო ქუთაისის საქველმოქმედო საზოგადოებას, თუ რომ საზოგადოების გამგეობა იშუამდგომლებს ჩემთვის და საპატიო მოქალაქის წოდებას მაშოვნინებსო. წინადადებასთან ერთად ბ-ნ ფილიას გამოუგზავნია გამგეობისათვის ქუთაისის ხაზინის მიერ მოცემული წიგნაკი, საიდანაც სჩანს, რომ მას ხაზინაში შეუტანია 5000 მანეთი. საზოგადოების გამგეობას ძლიერ მოსწონებია ასეთი წინადადება და მაშინვე აღუძრავს შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რომ ბ-ნ ფილიასთვის საპატიო მოქალაქის წოდება ებოძებიათ. მთავრობას ასეთი შუამდგომლობა არ შეუწყნარებია, ასეთ დიდს წოდებას ერთბაშად ვერ მოგცემთ ბ-ნ ფილიას, ამას დამსახურება უნდაო; ხუთას თუმანში კი შეუძლიათ ბ-ნ ფილიასთვის ერთი ოქროს მედალი. ბ-ნს ფილიას მთავრობის ასეთი დადგენილება სწყენია და თავის უკანასკნელ წერილში ატყობინებს საზოგადოების გამგეობას, ხუთას თუმნად მე ერთ მედალს არ ვყიდულობ; თუ საპატიო მოქალაქის წოდებას ვერ მაშოვნინებთ, ოქროს მედალში მხოლოდ 300 მანეთი დაიტოვეთ, დანარჩენი 4700 მანეთი მე უკანვე დამიბრუნეთო. კრებას ძლიერ შეეხანა ხუთასი თუმნის დაკარგვა და საჭიროდ დაინახა ხელახლად აღძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რომ ბ-ნს ფილიას მიენიჭოს საპატიო მოქალაქის წოდება.

ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა კრება

28 მაისი.

ამ დღეს ქალაქის თეატრში რწმუნებულთა სრულს კომპლექტს არ მოუყრია თავი. ამ თავითვე ვინ შეიტკივებს თავს და ბანკის ანგარიშების განხილვა ვის რაში ეპიტნავება. აი, კენჭის ჩაგდების დღე რომ მოაწევს—მაშინ კი მოაწყდება ყველა თავ-ქუდ მოგლეჯილი.

თავმჯდომარედ აირჩიეს თავად-აზნაურთა გუბერნიის წინამძღოლი თ. ს. დ. წერეთელი. გამგეობის წევრმა ვ. ნ. აბულაძემ წაიკითხა ბანკის გამგეობის მოხსენება. ანგარიშიდან, სხვათა შორის, სჩანს, რომ 1904 წ. ბანკს გაუცია გრძელ ვადიანი სესხი სოფლის მამულებზე 179,000 მან., ქალაქისაზე 2 194,600, და მოკლე ვადიანიც 22,700 მან. ასე რომ გასულ წლის შედარებით გრძელ ვადიანი სესხი 132,434 მ.—03 კ. მეტი გაუცია ბანკს სოფლის მამულებზე, ქალაქისაზე 1.971,765 მ.—64 კ., მოკლე ვადიან სესხის გაცემას კი დაუკლია 69,200 მანათით. ქალაქის მამულებზე ყველაზე მეტი სესხი ტფილისში გაუცია—788,400 მან. 1905 წლის 1 იანვრისათვის ბანკის მსესხებლებზე ითვლება შემოუტანელი გადასახადი 110,687 მ. 81 კ. გამგეობა მიაწერს ამ არსებულს სოციალ-ეკონომიურს პირობებს. კიდე უარესსაც უნდა მოველოდებოდეთო. როგორც ბანკზე დარჩენილ მამულების გაყიდვისა, ისე მათგან რაიმე სარგებლობის აღების საქმე დიდად შეაფერხა სოციალ-ეკონომიურმა კრიზისმა და მემამულეთა და მოიჯარადრეთა შორის არანორმალურმა დამოკიდებულობამ და საერთოდ ყოველ მხრივმა გაფიცვამ. ამის მაგვარი გარემოებ გამგეობამ წარსულის წლის ანგარიშშიაც აღნიშნა—რომ მას ძალიან უმძიმდება მოვლა ბანკზე დარჩენილ მამულებისა და საჭიროდ ხდის რწმუნებულთაგან განსაკუთრებულ კომისიის დანიშვნას, რომელმაც უნდა მოაწესრიგოს საუმჯობესოდ დარჩენილ მამულების საქმე და თვისი მოხსენება წარდგინოს მომავალ რწმუნებულთა...

საანგარიშო წელს ბანკს დარჩენია მოგება 171.827 მ. 97 კ, 28,374 მ. 96 კ., მეტი 1903 წლისაზე. აქედან წმინდა მოგება დარჩენილა 74,611 მ. 71 კ.—2,418 მ. 58 კ., მეტი 1903 წლისაზე. საავანსო ხარჯად ბანკს გაუცია საანგარიშო წელში 28,303 მან. გამგეობა სწერს, რომ ამ საავანსო ხარჯების გაღება ვერ მოისპო ჯერ-ჯერობით კიდე და სთხოვს კრებას დიდი თავდარიგი იქონიოს, ნუ გასწევს ხარჯებს საზოგადო საჭიროებათათვის, მით უფრო რომ თავად-აზნაურთა სასწავლებელი გიმნაზიად გადაკეთდა და ეს გარემოება დიდს ხარჯს მოითხოვსო. ფინანსთა მინისტრს ნება დაურთავს ბანკისათვის გრძელ ვადიანი სესხები გაიცეს დაბებს: სამტრედიას, საჩხერეს და ქობულეთს; სოხუმის ოლქში გაიცეს განსაზღვრულ ნორმის ზევით; დამფასებელ კომისიის წევრნი არჩეულ იქმნენ რწმუნებულთაგანნი, რომელთაც თავად-აზნაურობა ირჩევს.

დაიწყო კამათი. ამ დღეს მთელი ყურადღება რწმუნებულთა ჩვენს ბანკში დაგირავებულ ტფილისის მამულებზე იყო მიქცეული. ნ. თავდგირიძემ განაცხადა, ხელსაყრელია ჩვენთვის თუ არა, რომ ტფილისის მემამულეებს ვეწაფებით, ქალაქის ორი ბანკი, რომელნიც ადგილ-მამულზე სესხს იძლევიან, უკეთესს პირობებში არიან შედარებით, და რადა ჩვენს ბანკში გირავდება იქაური მამულებიო. ჩვენ ბანკს დარჩენია ორას ათას მანეთის მამული ტფილისისა, რა სარგებლობა მოაქვს ამ მამულებს, როგორ მიდის მათი მართვა-გამგეობის საქმეო და სხ. ამგვარ კითხვებით გამგეობას სხვა წევრთაც მიმართეს... ზედამხედველ კომიტეტის წევრი ს. დ. ჯაფარიძე მიეშველა ბანკის გამგეობას. საყოველთაო კრიზისს ასახელებს იმის მიზეზად, რომ ბანკს დარჩა ტფილისის 8 მამული, ამათგან ერთი გაიყიდა, ხოლო 7 მამულზე დღეს ითვლება ვალი ორასი ათასი მანეთი. მაგალითად ტფილისის ბანკიც მოჰყავს, რომელსაც 1902 წელს მხოლოდ ერთი მამული დარჩაო, და 1904-ში კი 25-იო. ამ დარჩენილ მამულების მართვა-გამგებლობაც იქაურს ჩვენს აგენტს, ბ. გუგუშვილს ჩავაბარეთ აგერ ნახევარ წელიწადზე მეტია, დავავალეთ თვე და თვე წარმოედგინა მამულების შემოსავლის ანგარიშები, მაგრამ მხოლოდ ნოემბრის ანგარიში წარმოგვიდგინა ას-ოცდა-ათი მანეთი და დანარჩენ ხუთის თვის ანგარიშს, ვიდრე აპრილამდის, ძლივს გასაჭირი ღირსებია გამგეობა, და იქიდანაც კარგა ძალი ბ-ნ გუგუშვილს თავის ნებით ჩაუტოვებია, მერგებაო, რაღაც ანგარიშები მაქვს ბანკთანაო და სულ მცირე რაღაც ბანკში წარმოუდგენია. ჯაფარიძეს საჭიროდ მიაჩნია მესამე დირექტორის დანიშვნა თავის დამფასებლით, რომელნიც ტფილისში უნდა იყვნენ მუდამ, თავის კანცელარიით. ნ. თავდგირიძე ჩვენა ბანკს БОГАДЕЛЬНЯ-ს უწოდებს. ორას ათასი მანათის მამულს თოთხმეტი ათასი მანათი სარგებელი

— რამდენს გაძლევენ თითო წიგნის გაყიდვაში?—ჰკითხა მან წყნარის ხმით.

— ოცს ფრანკს.

— მაშ დასტოვეთ ერთი წიგნი.

ცხადი იყო, რომ ქალბატონმა უფრო მეტ სიბრალულით იყიდა ეს წიგნი. უცნობს სახეზე ალმური ავარდა. არა სურდა არავისთვის თავი შეებრალებინა. უნდოდა ამაყად წელში გამართულიყო, მაგრამ სამი წიგნი კიდევ ლოდივით დასწოლოდა ზურგზე, გამოართვა ხელ-მოწერილი ნასყიდობის ბარათი და სიმწარით უთხრა.

— მომიტევეთ, ქალბატონო, ამაზე მეტად ვეღარ შევძლებ თავის მოხრას, რომ სალამი მოგცეთ.

ამ სიტყვებით გამოვიდა. თუმცა კიდევ ორასზე მეტი ადრესი ჰქონდა დაწერილი, სადაც უნდა მიეტანა წიგნები, მაგრამ ისე დაქანცული იყო და თან შიმშილისაგან ისე დასუსტებული, რომ გადასწყვიტა ეხლავ დაბრუნებულიყო წიგნების გამომცემელთან და მოეთხოვა ჭირის ოფლით ამოსაგები ფული. მანძილი კიდევ დიდი ჰქონდა გასავლელი. თუმცა ერთი წიგნი მოაკლდა, მაგრამ დანარჩენი სამი წიგნი თითქო უფრო დამძიმდაო. ძალიან დაიღალა, თუ იმიტომ რომ უფრო მიეჩქარებოდა, რამდენჯერმე წაბარბაცდა და კედელზე რომ ხელი არ მიეშველებინა, უთუოდ წაიქცეოდა. ქუჩის მოსახვევში დასასვენებლად შეჩერდა. ეხლა უფრო იგრძნო დაღალულობა; სისუსტისაგანაც თითქო თავს ბრუ ესხმოდა.

„თავის დღეში ვერ მივაღწევ"! წაილაპარაკა თავისთავის. უცბად ერთმა აზრმა გაურბინა თავში: ფული ხომ ერგებოდა, მაშასადამე, შეეძლო წიგნების წასაღებად კომისიონერი დაეჭირა, რომელმაც ამ დროს იმის წინ ჩაიარა.

— არ შეგიძლიანთ ამ წიგნების წაღებაში დამეხმაროთ?—მიმართა მან კომისიონერს.

— სად არის წასაღები?

— რუაიალის ქუჩა, № 215.

— ამ ქუჩაზე ხომ პირდაპირ ეს ტრამვაი მიდის! იქამდის 15 სანტიმი ღირს და მე რადა საჭირო ვარ.

— ეგ მეც ვიცი, მაგრამ ფული თან არ წამომიღია...

კომისიონერი ჯერ დიმილით დააცქერდა, მერე გადიხარხარა და თავის ამხანაგებისაკენ გასწია.

მეტი ჯანი არ იყო, მალე უნდა მოშორებოდა ამ ადგილს, რომ კომისიონერების დაცინვა თავიდან აეცდინა, უკანასკნელი ძალ ღონე მოიკრიბა; მოიგდო ზურგზე წიგნები და ჩქარის ნაბიჯით გზას გაუდგა. მიდიოდა კისერ-წაგდებული და თან უნებლიედ იხედებოდა მაღაზიების დიდრონ სარკეებში, სადაც თავის თავს ხედავდა.

ისეთი იყო დასაწყისი დიმიტრი ყიფიანის შვილის ნიკოლოზის ცხოვრებისა, იმ ადამიანის ცხოვრებისა, რომლის კარებზეც 3 მაისს 1905 წ. თავი მოუყარა უნივერსიტეტის წარჩინებულ პროფესორებს, სხვა და სხვა საზოგადოებათა წარმომადგენლებს, პოლონელთა და რუსთა ახალ-გაზდობას და ბოლოს გულდაწყვეტილ პატარა ქართველების კოლონიას.

ვისაც გაგონილი მაინც აქვს, რა ძნელია ევროპაში ლუკმა პურის შოვნა, ის ადვილად მიხვდება, რომ მართლა გასაკვირველის ხასიათისა და ენერგიის ადამიანი უნდა ყოფილიყო განსვენებული, რომ მიუხედავად იმ საშინელ გარემოებისა, რომელშიაც მას მოუხდა აქ ცხოვრების დაწყება, მაინც შესძლო ისეთი საპატიო სახელის მოპოვება, რომელიც მან დაიმსახურა მთელ ბრიუსელში. რომ ვამბობ მთელ ბრიუსელში მეთქი, გადაჭარბებით არ ვამბობ, რადგან მართლაც მთელი განათლებული ბრიუსელი კარგად იცნობდა. იცნობდა როგორც განათლებულს, დაუღალავს და დაუზარებელ მუშაკს, რომელიც უყველ პატიოსან საქმეს პირნათლად ემსახურებოდა. განა გასაკვირველი არ არის, რომ ბელგიის მთავარ ქალაქში, სადაც სწავლული და განათლებულნიც უხვად მოიპოვებიან, ერთ გადმოვარდნილ ქართველს წილად ხვდა დაეფუძნებინა ქალთა მდგომარეობის გასაუმჯობესებელი საზოგადოებანი, როგორადაც „La ligue du droit des femmes„ და La societé de l'amélioration du sort de la femme" ნიკოლოზ ყიფიანისვე მეთაურობით დაარსდა უნივერსიტეტთან „Cercle polyglotte"-ი, სადაც ის სიკვდილამდის რუსული ენის განყოფილებას განაგებდა.*) „ჩვენ დავკარგეთ ჩვენის საზოგადოების სულის ჩამდგმელი", სწერენ ზემოდ ხსენებული საზოგადოებანი სამგლოვიარო ბარათებში, რომლითაც თავიანთ წევრებს ნ. ყიფიანის გარდაცვალებას აცნობებენ. ოდნავაც რომ სულის ჩამდგმელი იყო. იმ კრებას, რომელზედაც ნ. ყიფიანი არ დაესწრებოდა ხოლმე, უსიცოცხლოდ უნდა ჩაევლო. სამაგიეროდ იმის კონფერენციებზე მთელი დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი. იმის კონფერენციებში ყველაზედ მეტი ყურადღება საზოგადოებისა მიიქცია Hypatie b'Alexanolrie „და les femmes indiennes"-მა.

განსვენებული ერთ დროს ჩვენ ჟურნალ-გაზეთებშიაც იღებდა მონაწილეობას. უკანასკნელი მისი შრომა სამშობლო ენაზედ იყო „დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება", რომელიც, სამწუხაროდ, სავსებით ვერ დაიბეჭდა. ვერ დაიბეჭდა აგრეთვე მისივე „დიმიტრი ყიფიანის უკანასკნელი დღენი", რომელიც ნათელს ჰფენს იმ ბნელ გარემოებას, რომლებშიაც მოხდა დიმიტრი ყიფიანის მკვლელობა.

ამ დღეებიდან ნიკოლოზ ყიფიანი ხანგამოშვებით სწერდა კორესპონდენციებს პეტერბურგის გაზეთებში და ადგილობრივ ბელგიის ჟურნალ-გაზეთებში. ამ ორის წლის წინად პარიზის გაზეთ „აურორა"-ში მთელი ორის თვის განმავლობაში ათავსებდა წერილებს „მეუღლეს" ფსევდონიმით.

ბოლოს დროს გადაჭარბებულ მუშაობამ ნ. ყიფიანს ძალზედ შეურყია ჯანმრთელობა და ექიმებმა მუშაობა აუკრძალეს. მაგრამ ნ. ყიფიანი, რომლისთვის მუშაობა თვით სიცოცხლე იყო, არ დაემორჩილა ექიმების გადაწყვეტილებას. პირიქით, ჩვენის ხალხის გამოღვიძების უკანასკნელმა ამბებმა უარესად აუშალა მუშაობის სადერდელი. თითქო გრძნობდა სიკვდილის მოახლოვებას, მან მოისურვა უკანასკნელი თავის ფიქრი ისევ სამშობლოსაკენ მიეპყრო. ცებ-ცხელებაში მან დასწერა მშვენიერი ისტორიული წერილი „La Georgio et Le deux grandes géorgiennes dans le pasé la reine Jhamar, la reine Kethevan", რომელიც დაიბეჭდა და ეს ორი დღეა, გამოვიდა "Revue de l'universit". სიკვდილის ორის დღის წინად აწ განსვენებულმა ნ. ყიფიანმა თვითონ შეასწორა კორექტურა თავის ნაწერისა და ეს იყო მისი უკანასკნელი ლიტერატურული შრომა. მე ვგრძნობ,—სწერს აწ განსვენებული ნ. ყიფიანი—ამ თხზულების დასაწყისში, „რომ ძალა არ შემწევს სავსებით წარმოგიდგინოთ ამ დიდებულ პირთა სურათები, მაგრამ რა ვქნა, გული არ მიშვება და ხომ იცით, „il cuore è leterno fanciullo" აწ ადარ სცემს ეს გული. თავის ქვეყანაზე ფიქრში შესწყდა პატიოსან მუშაკის გულის ცემა...

ქ. ბრიუსელი. ბ—ლი.

---

*) უკანასკნელ სხდომაზედ დადგენილ იქმნა Cercle polyglotte-ის დარბაზში ჩამოეკიდონ ნ. ყიფიანის სურათი. ამასთან ერთ წევრს დაევალა იმის ბიოგრაფიის შედგენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც უნდა შემოეტანა წელიწადში და ჩვენ კი ერთს თვეში რაღაც ცამეტს თუმანს გვაძლევენ და შემდეგ ხუთს თვეში ამაზე ცოტად მეტსაო. რის მაქნისი იყო ეგ აგენტურა, თუ კი ზარალის მეტს ვერასა ვხედავთო. გამგეობის წევრის ვ. ნ. აბულაძის სიტყვებიდან მტკიცდება ნათლად, თუ რა მტკიცედა და ბეჯითად დაუცავს ბანკის ინტერესები ბანკის ქალაქის აგენტს. მაგალ.—5 ოთახიანი სადგომი, თავის ვანნით და ყოველგვარ საჭირო მოწყობილობით ქირავდება თვეში 13 მანათად. ვოკზალის გვერდით, ორ ოთახიანი საპარიკმახერო, სრულის შუშა-ბანდით 7 მანათად თვეში.

მისწვდნენ დამფასებლებსაც. კ. ნიკოლაძე წინადგანზრახულობაში სწამებს ცილს გამგეობასა და უმეტესად დამფასებელთ. დამფასებლების თავმჯდომარე, ბ-ნი თუმანიშვილი თავს მართლულობს. მ. ა. ქიქოძე, მ. ე. დარახველიძე და ი. ნ. ნიჟარაძეც ბრალსა სდებენ გამგეობას, რომ ნაკლები ყურადღება ჰქონიათ ტფილისის აგენტურაზე. ბატ. ქიქოძემ სთქვა, გამგეობამ თუ ადრეც შენიშნა ასეთი შეცოდებანი და აქამდის არ დაითხოვა ბ-ნი გუგუშვილი, არ ეპატიებაო. კრება შესწყდა ათის წამით. განახლების შემდეგაც ხანგრძლივი და დაუსრულებელი კამათი გაიმართა. გამგეობას ეგონა, რწმუნებულნი დაამტკიცებდნენ ამ დღეს წარმოდგენილ ანგარიშს, მაგრამ მოტყუვდა. კრება მეორე დღისთვის გადაიდო.

29 მაისი.

ამ დღესაც გ. ფ. ზდანოვიჩი შეეკითხა თავმჯდომარეს, გადაწყვეტილია თუ არა გუშინდელს კრებაზედ აღძრული საკითხი იმის შესახებ, რომ აღიძრეს შუამდგომლობა ბანკის მართვა-გამგეობაში ნორმალურ წესის აღდგენის შესახებ. აღმოჩნდა, რომ ეს საქმე კიდევ გადაუწყვეტელი იყო. დ. ა. ლორთქიფანიძემ საჭიროდ სცნო აღიძრეს შუამდგომლობა არამც თუ იმის შესახებ, რომ მთავრობა ჩვენდა დაუკითხავად არ გვინიშნავდეს ბანკის თავმჯდომარეს, არამედ იმისაც, რომ ბანკი განთავისუფლებულ იქნას საფინანსო სამინისტროს წარმომადგენლის კონტროლისაგან. კრებამ ერთხმად მიიღო წინადადება. ვ. ს. მელნიკოვმა სთქვა: ბატონებო! მე სრულიად იმის წინააღმდეგი არა ვარ, რომ ბანკის მართვა-გამგეობაში შემოღებულ იქმნას ნორმალური წესი. მაგრამ ეს საქმე ძლიერ სერიოზულია და ასე აჩქარებით მისი გადაწყვეტა არ ივარგებს. უნდა ვიფიქროთ იმის შესახებ, რომ ამით ბანკის ნივთიერ მხარეს არაფერი ევნოს. ამიტომ საჭიროა ავირჩიოთ კომისია, რომელმაც ზედამხედველ კომიტეტთან ერთად ჩემის თანადასწრებით შეიმუშავოს საკითხი, თუ როგორ უნდა აღდგენილ იქმნას ნორმალური წესი და როგორი შუამდგომლობა უნდა აღიძრეს კავკასიის ნამესტნიკის წინაშე. მ. ა. ქიქოძის წინადადებით მადლობა გამოეცხადა მელნიკოვს და სთხოვა კომისიის თავმჯდომარეობა. კომისიაში ერთხმად არჩეულ იქმნენ, თავმჯდომარის ვ. ს. მელნიკოვის გარდა, მ. ა. ქიქოძე, გ. ფ. ზდანოვიჩი და დ. ბ. ხელთუფლიშვილი.

დირექტორმა ვ. ნ. აბულაძემ წაიკითხა ბანკის ზედამხედველ კომიტეტის მოხსენება ტფილისში ქუთაისის ბანკის განყოფილების დაარსების შესახებ. განყოფილებაში იქნეს ერთი დირექტორი, ერთი დამფასებელი და ერთიც ბანკზე დარჩენილ მამულების გამგე. დირექტორს ექნება წლიურად 2,500 მანეთი,—დამფასებელს—1800 მანეთი, მამულების გამგეს—1000 მანეთი. სადგომის დასაქირავებლად, გასათბობად, საკანცელარიო და სხვა ხარჯებისათვის უნდა გადაიდოს 1200 მანეთი; ამგვარად, სულ საჭირო იქნება განყოფილების დასაარსებლად 6,500 მანეთი. ამ ჟამად კი, როდესაც ტფილისში ბანკს ჰყავს საკუთარი აგენტი, როდესაც ყოველ მამულის დაფასების დროს ბანკმა ქუთაისიდან უნდა ჰგზავნოს დამფასებლები და ხშირად დირექტორებიც, ყოველ წლიურად იხარჯება 11,000 მანეთიო. ზედამხედველი კომიტეტი იმ აზრისაა, თუ ეხლანდელს აგენტურას მოვსპობთ და მის ნაცვლად ტფილისში მესამე დირექტორის თანამდებობას დავაარსებთ, რომელსაც ირჩევს საზოგადოება და რომელიც ამ საზოგადოების წინაშე პასუხისმგებელი იქმნება, ბანკის საქმეები უკეთ მოეწყობა ტფილისში და ხარჯებიც თითქმის ერთი-ორად ნაკლები იქმნებაო.

ხანგრძლივ კამათის შემდეგ თავმჯდომარემ ყუთი დადგა. კრებამ 78 ხმის უმეტესობით 29-ის წინააღმდეგ მიიღო ზედამხედველ კომიტეტის მოხსენება ტფილისში დირექტორის თანამდებობის დაწესების შესახებ.

ნესტორ წერეთლის სახსოვრად.

ქართველ საზოგადოებრივ მოღვაწეთა უამისოდაც მცირე რიცხვოვანი წრე ამ უკანასკნელ წლებში საგრძნობლად შემცირდა—და აი, ერთი საგულისხმო წევრი კიდევ გამოაკლო მას ულმობელმა სიკვდილმა. ვინც სოფლის ცხოვრებას თვალ-ყურს ადევნებს, ყველას ეხსომება ნესტორ წერეთლის სახელი ახლანდელ დროში ყველანი, განსაკუთრებით კი განათლებული ახალგაზრდობა, ქალაქებისაკენ მიილტვიან, რადგან მხოლოდ იქ ჰპოვებენ სიცოცხლის ნიშანწყალს, ცოტად თუ ბევრად გამოღვიძებულ ცხოვრებას. განსვენებული ნესტორი კი ვერ გაიტაცა ამ საერთო მისწრაფებამ და რუსეთიდან დაბრუნებისთანავე სოფელში დაბინავდა, სოფლის ხალხში დაიწყო ტრიალი იმ განზრახვით, რომ თავისი ძალღონე იქ დაეხარჯა, სადაც მეტი სიბნელეა, რათა, შეძლების დაგვარათ, თავის სამშობლოს ბნელი კუნჭული ოდნავ მაინც გაეშუქებინა. ეს იყო მეოთხმოცე წლებში და მას შემდეგ თავის კუთხის მოძმეთა ცხოვრების გაუმჯობესებასა და მათ კეთილდღეობაზე ზრუნავდა.

იმ დროს ჩვენში ახალი საქმე იყო სასოფლო დეპო-ბანკები და, საზოგადოთ, სასოფლო სამეურნეო ამხანაგობანი, და, რასაკვირველია, ახალ საქმის ორგანიზაცია უზომო შრომასა და დიდ გამჭრიახობას მოითხოვდა. მიუხედავად ამისა, განსვენებულმა მალე ჩინებულად მოაწყო სხვა და სხვა სოფლებში სასოფლო ბანკები, რომელსაც თან მოჰყვა პირველად სასოფლო სამეურნეო საზოგადოების დაარსება, მეაბრეშუმეობის გაძლიერება, სოფლად ხელოვან-ქსოვის ცოდნის გავრცელება და სხვ. ამ საქმეს ემსახურებოდა ნესტორი სიყმაწვილიდან, პირველ წლებში სრულიად უსასყიდლოდ—უანგაროდ, შემდეგში მცირე სასყიდლით, და ამ საქმეში დალია დღენი.

განსვენებულის პიროვნებას კიდევ ის ამშვენებდა, რომ ის ქართული ენის ჩინებული მცოდნე იყო, კარგი მოლაპარაკე და მწერლობის მოყვარული—მოტრფიალე; ჩვენს ჟურნალ-გაზეთებშიც ხშირად იღებდა ხოლმე მონაწილეობას. იცოდა აგრეთვე ფრანგული ენა, რამაც საშუალება მისცა ეთარგმნა უცხოეთის მეურნეობის სხვა და სხვა დარგის შესახებ საჭირო ცნობები და სხვ.

ამხანაგი

რუსეთის ქრონიკა

ფინანსთა სამინისტრომ საგანგებო ბრძანება მისწერა დამთვრების უფროსებს—დიდის ბეჯითობით გასჩხრიკეთ ყოველი ბაგაჟი, ჩემოდანი, კალათი და სხვა ამგვარებიო. („რ. ს.“).

უკანასკნელი სესხი, რომელიც რუსეთის მთავრობამ აიღო გერმანელ ბანკებიდან, უკვე დახარჯულა. 200 მილიონიდან 50 იყო დარჩენილი და ეხლა ესეც გათავებულა. („რ. ვ.“).

ზოგი მაღალი სასწავლებელი სატახტო და საზოგადოდ დიდ ქალაქებიდან პატარა ქალაქებში იქნება გადატანილი. („ნოვ.“).

გენერალ-ადიუტანტ ალექსეევს, შორე-აღმოსავლეთის ნამესტნიკს, სამსახურიდან გადადგომის ქაღალდი შეუტანია, რადგან დიდი საყვედურები ესმის პრესისა და საზოგადოებაში შორე-აღმოსავლეთის ადმინისტრაციის მიმართო. ალექსეევის თხოვნა არ მიუღია უმაღლეს მთავრობას—თქვენი მონაწილეობა სახელმწიფო საქმეებში ეხლა ძალიან საჭირო არისო. ნამესტნიკის კანცელარიის ბინა „ევროპის“ სასტუმროში 120 მანეთი ჯდება თურმე დღეში. („ნ. ვრ.“).

ცნობილი ზუბატოვი, რომელიც მუშათა ორგანიზაციებს აწყობდა მოსკოვში, რომ ჩაეშალა ნამდვილი მუშათა ორგანიზაციები, 5000 მანეთ პენსიას იღებს თურმე წლიურად. („რ. ვ.“).

ქ. რიგის საიდუმლო პოლიციის უფროსი კოშკო ჭკუაზე შემცდარა დაქანცვისა გამო, რომელიც გამოუწვევია ხშირ მკვლელობას.

საერთო განათლების სამინისტრომ უარი უთხრა 12 ქალს, რომელნიც უნივერსიტეტში შესვლას თხოულობდნენ: ჩვენის კანონებით უმაღლეს სასწავლებლებში ქალები და კაცები ერთად არ უნდა სწავლობდნენო.

„რუსი“ იუწყება, რომ ის ხმა, ვითომც სტატს-სეკრეტარს ს. ვიტეს სახელმწიფო კანცლერად ნიშნავენ, უსაფუძვლო არისო.

ბულიგინის წასვლა. როგორც გაზ. „სლოვო“ იუწყება, შინაგან საქმეთა მინისტრმა ა. გ. ბულიგინმა მიიღო ხანგრძლივი დროებითი დათხოვნა.

გენერალ გუბერნატორები. როგორც „ს. ო.“-ს გაუგონია, მშვიდობიანობის დაცვისა და სახელმწიფო უშიშროების საქმეში რუსეთის ყველა გენერალ-გუბერნატორი დაექვემდებარება შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწეს, პოლიციის უფროსს.

აღკრძალვა. თანახმად უმაღლეს საზღვაო მთავრობის განკარგულებისა, ეუწყებათ აფიცრებს, ტეხნიკოსებს, გემების ინჟინერთ, სამკურნალო და სამოქალაქო პირთ, რომ თეატრებსა, გასართობ ბალებსა და სხვა და სხვა სამუსიკო საღამოებზე სიარული აკრძალულია, რადგანაც რუსის ფლოტს და სრულიად რუსეთს ცუდი დრო ადგაო.

ხალხის წარმომადგენლობა. მინისტრთა საბჭო 26 და 27 მაისის სხდომებზე შეუდგა განხილვას შინაგან საქმეთა მინისტრის პროექტისას, სახალხო წარმომადგენლების შესახებ. პირველს ორს სხდომაზე მინისტრთა საბჭომ განიხილა პროექტის ის მუხლები, რომელიც ეხება საარჩევნო სისტემას და სახალხო წარმომადგენლობის კომპეტენციას. წოდებრივი არჩევნები მინისტრთა საბჭომ შეუფერებლად სცნო, რადგან გლეხობას, როგორც რუსეთის მცხოვრებთა 90%-ს, მეტად ბევრი წარმომადგენელი ეყოლებოდა სხვა წოდებებთან შედარებით. საყოველთაო საარჩევნო უფლება, მინისტრთა საბჭოს აზრით, განუხორციელებელია, ვინაიდან რუსეთის მცხოვრებნი, მეტადრე ჩრდილოეთ რუსეთისა, გაუნათლებელნი არიან. რათა არ მიენიჭოს მცხოვრებთა არც ერთს ნაწილს რაიმე უპირატესობა, მინისტრთა საბჭომ უფრო გამოსადეგად სცნო 1864 წლის საერობო დებულების საარჩევნო წესი. ამორჩეულ წარმომადგენლის მიერ მინდობილობის გადაცემა სხვა პირისათვის უარ-ჰყო მინისტრთა საბჭომ. ქალებს ეძლევათ უფლება არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა, მხოლოდ ქალმა უნდა გადასცეს ეს უფლება მამაკაცს. მომავალ სახალხო წარმომადგენლობის დაწესებულების კომპეტენციის შესახებ მინისტრთა საბჭომ ის აზრი გამოსთქვა, რომ ამ დაწესებულებას უფლება ექნება იმ კანონ-პროექტების წინასწარ განხილვისა და განსჯისა, რომელთაც შეიტანენ სახელმწიფო საბჭოში ცალკე უწყებანი, აგრეთვე უფლება სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვის, ფინანსთა სამინისტროს ცალკე ხარჯთ-აღრიცხვის, ამ ხარჯთ-აღრიცხვათა შესრულების და სახელმწიფო კონტროლიორის მიერ წარდგენილ ანგარიშის განხილვისა. პროექტით, სახელმწიფო რჩევას მიენიჭება უფლება საკანონმდებლო ინიციატივისა. ინიციატივის უფლება ექნება როგორც ცალკედ წევრს, ისე ჯგუფებსაც. მინისტრების შეკითხვის უფლება დაეკუთვნება სახელმწიფო რჩევას, მხოლოდ შეკითხვა უნდა ეხებოდეს რომელსამე უწყებას, და არა ცალკე მოხელეს. შესაძლებელია, რომ მინისტრთა საბჭომ განიხილოს ბულიგინის პროექტი 10 ივნისამდე, როდესაც პროექტს ხელმწიფეს წარუდგენენ დასამტკიცებლად. („რ. ს“.).

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

31 მაისი

ხიტიაზა, 29 მაისი. ჩინელების სიტყვით, უკანასკნელ ხანებში იაპონელები განსაკუთრებით ჩვენის მარცხენა ფრთის წინააღმდეგ ძლიერდებიან და ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ მიიწევენ. იმავე დროს მათი ცენტრი და მარცხენა ფრთა, სჩანს, თავიანთ ადგილებზე რჩებიან. ალბად იაპონელები ისევ ისე აპირებენ გირინისკენ გალაშქრებას ჩვენის მარცხენა ფრთის შემოვლით. 26 და 27 მაისს დილით იაპონელებმა სცადეს მარცხენა ფრთის კორპუსები შეევიწროებინათ. ჩვენი მოხალისენი გორაკებში ჩაუსაფრდნენ; ესროდნენ რამდენსამე საათს. იაპონელებმა ვერ გაიმარჯვეს, მოხალისენი თავიანთ ადგილებზე დარჩნენ. ჩვენი დაგვიჭრეს ერთი აფიცერი.

გოძიადანი, 30 მაისი. იაპონელები ილაშქრებენ ჩვენის მარცხენა ფრთის წინააღმდეგ. 27 მაისს იაპონელებმა გასწმინდეს პოზიციები მდ. კაოხეს სამხრეთით, მაღლობებზე. იმავე დროს აღმოაჩინეს იაპონელების გალაშქრება მანდარინის გზის აღმოსავლეთით. მანდარინის გზაზე გამოილაშქრა სამმა ბატალიონმა და ორმა ესკადრონმა მთის არტილერიითა და ტყვიის მტყორცნელებით. 28 მაისს დილით სროლა ატყდა სადარაჯო პოსტზე. იაპონელებმა დაიჭირეს მდ. კალოხეს ჩრდილოეთით მაღლობები, ნანჩენცზისა და სენშუს რაიონში. იმავე დროს მათ შემოუარეს მარცხენა ფრთის წინა რაზმისას, რომელიც იანდილინის უღელტეხილზე იდგა და დაახევინეს ს. შიხუზასკენ.

ვაშინგტონი, 31 მაისი („რეიტ.“). თუმცა არ შეიძლება ველოდეთ დროებით ზავის ჩამოგდებას ფორმალურად, სანამ მოლაპარაკებისთვის შეხვედრა არ გადაწყდება საბოლოოთ, მაგრამ, ოფიციალურ წრეების ფიქრით, არც ერთი მებრძოლი მხარე არ მოახდენს გენერალურ ბრძოლას. აქ დაბეჯითებით ამბობენ, რომ რწმუნებულნი ჰააგაში შეხვდებიანო.

ტოკიო, 31 მაისი (სტანდარტი). საყოველთაო რწმენა ისეთია, რომ იაპონელები ზომიერებას გამოიჩენენ მოთხოვნებში, რათა ამით ყურადღება მიიქციონ მთელის განათლებულ ქვეყნიერებისა.—(დეილი-ტელეგ.). ჩრდილოეთ კორეაში იაპონელებმა მდ. ტუმენისკენ დაიხიეს. რუსებს საგოსპიტლო გემი „ორიოლი“ იმიტომ წაართვეს, რომ უკანასკნელს ბრიტანიის გემ „ილდგამია“-ს კაპიტანი და 4 მატროსი ეჯდა; ეს გემი კი რუსების მიერ იყო დაჭერილი —„კოსტრომა“-ს ნება-რთვა მოუვიდა წავიდეს. საგოსპიტლო გემ „მონგოლია“-ს, რომელიც პორტ-არტურთან დაიჭირეს, დაუბრუნებენ რუსებს.

მოჯი, 31 მაისი. „დეილი-ტელეგ.“-ის კორესპონდენტმა და ბარ. ფოზავამ, წითელ ჯვრის ვიცე-პრეზიდენტმა, ინახულეს როჟესტვენსკი სასებოს საზღვაო გოსპიტალში. ადმირალს ძლიერ აწუხებდნენ ჭრილობები. ძლიერ აქებდა მომვლელებს და მისდამი გულმოდგინეობას, განაცხადა, რომ თავზე ჭრილობები უშველდება ცოტ-ცოტათი, ძლიერ აწუხებს მარცხენა ფეხი და ბევრი დრო გავა, სანამ სიარულს შეიძლებდეს. ადმ. გაურბოდა ბრძოლაზე ლაპარაკს, მხოლოდ ის კი სთქვა, რომ ქება-დიდების ღირსია იაპონიის ფლოტის. იმავე გოსპიტალშია „კნიაზ სუვოროვ“-ის კაპიტანი და რუსის აფიცერი, რომელსაც რუსი—ექიმი უვლის.

ათინა, 31 მაისი. დღეს, როცა მინისტრ-პრეზიდენტი დელიანისი დეპუტატთა პალატაში შედიოდა, ვინმე გერაკარისმა დანით დასჭრა იგი მუცელში. ბრბოს იქვე უნდოდა ანდერძი აეგო მკვლელისთვის. ქალაქი ძლიერ ღელავს. დელიანისი გარდაიცვალა.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

1 ივნისი

გუნჯულინი, 30 მაისი (საკუთ. კორესპ.). ჩინეთის წყაროები იუწყებიან, ბევრი იაპონელი გაუშვეს შინ მინდვრებში სამუშაოდ; ერთი თვით წასულა იაპონიაში აგრეთვე ოიამაც თავისი შტაბით. ეს ამბავი მხოლოდ ოიამას უკან დაბრუნების შემდეგ გაიგეს.

პეტერბურგი. მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათ მინისტრის ამხანაგი შვანებახი დაინიშნა მიწათ-მოწყობისა და მიწათ-მოქმედების მთავარ-მმართველის თანამდებობათა აღმასრულებლად.

მინსკი, 31 მაისი. საბჭომ თავისი წყენა გამოსთქვა ხმოსან-ებრაელების გასვლის გამო და დაადგინა იშუამდგომლოს ხალხის წარმომადგენელთა დაუყოვნებლივ მოწვევაზე.

ვილნა, 1 ივნისი. აკურთხეს რკინის გზის ახლად შეკეთებული ვოკზალი.

პეტერბურგის ბირჟა 24 მაისს 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ. ტ.	94,30
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში.	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,85
ბერლინისაზე	46,30
პარიზისაზე	37,67½
ბირჟის დისკონტი	5¼ 6¾%
4% სახელმწიფო რენტა	83¾
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1908 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	—
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	376
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	286½
5%. გირ. პომ. ფურც. სახ. სა.-მამ. ბან.	255
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
5½% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	191½

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ზ. ჯაბადარი

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის
გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 4 ივნისისთვის დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** მე-10 საპოლიციო უბანში, ტფილისის დამოქნის მახლობლად, 726,3 ოთხკუთხ საჟენ ქალაქის მიწის გასაცემად. ეს მიწა გაიცემა შეშის, ხე-ტყის და საქონლის საკვების საწყობად.

პირობების გასინჯვა შეიძლება ქალაქის გამგეობის მე-4 განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 10-დან 2 საათამდე. (3—ნ.—3).

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ**. სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვის და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

საუკეთესოდ მოწყობილი
ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა
წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.
ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.
პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

ფეხსაცმელი
ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,
მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,
აგრეთვე მსწრაფლ-მავალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში
ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО
С.ПЕТЕРБУРГЪ
გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს

ტყავის საქონელი
რუსეთსა და საზღვარ-გარედ დამზადებული, მრავლად არის
სავაჭრო სახლის
„ლეოპოლდ ნეიშელლერ“-ის საწყობში.
ტელეფონი № 346. ერევნის მოედანი. (60—ნ.—41)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»
კიოსკში
ლორის-მელევის ქუჩა, იქოალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონი- მ. გ. შვილისა—პოემა ბაჩანაზი.	— 10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—50
ბნელი, მოთხრობა—მელანიასი	— 20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1
II და III ტომი თითო	1 —
ი. ჭავჭავაძის I ტომი	— 70
იგივე II და III ტომი თითო	— 60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	— 80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	— 10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	— 40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	— 60
რაფ. ერისთავის I ტომი	— 60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	— 20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	— 55
სიბრძნე ბალავარისა	— 30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	— 10
ღვინის დაყენება, პროფ. გ. პეტრიაშვილისა	1 50
რძე, მისივე	1 50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი —გენრიხ სენკევიჩისა	— 80
დასტურ-ლამა	— 20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	— 25
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	— 20
ხენთი რაფფისა, თარგ. სომხურიდან კ. ევანგულოვისა	1 —

Доз. цен. Тифлисъ, 1 Іюня 1905 г.

Печ. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—სა